


1956 / 2



მეცნიერება & ტექნიკა



1 • 9 • 5 • 6

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ვაჟშინი...
...დაწყებულია!



საბჭოთა ჭაბუკებო და გოგონებო!
გულმოდგინად შეისწავლეთ ჩადმოვქენიკა
„დოკუმენტის“
წიგნებსა და ჩადმოქლებებს!

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ორგანო

პროფესორი ნ. იაშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახული ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის კონკრეტული გზები, ხაზგასმულია წარმოების ენერგოშეიარაღების შემდგომი გადილების გადაუდებელი ამოცანა; აგრეთვე თანამედროვე ტექნიკას დაუფლებული სპეციალისტებით, კარგი ორგანიზატორებით — კადრებით წარმოების სათანადოდ უზრუნველყოფის დიდი მნიშვნელობა; მითითებულია ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა.

ახალ ხუთწლეულში ფართოდ დაინერგება ადგილობრივ პირობებში ყველაზე პროდუქტიულ მცენარეთა და ცხოველთა სახეები და ჯიშები, კიდევ უფრო გამრავალფეროვანდება მათი ასორტიმენტი.


განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ კულტურებისა და დარგების სწორი გაადგილება, მათ ყველაზე გონივრულ შეთანაწყობას, მემცენარეობისა და მეცხოველეობის სპეციალიზაციის დახვეწასა და დაუსტებლად ადგილობრივი ბუნებრივი და ეკონომიური პირობების შესაბამისად. ამ ამოცანათა გადაწყვეტის შედეგად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მკვეთრი გადიდება სავარგულების 100 ჰექტარზე და პროდუქციის ერთეულზე შრომისა და წარმოების საშუალებათა მინიმუმის დახარჯვა.


მეექვსე ხუთწლეულში კოლმეურნეთა მთავარი ამოცანაა რჩება მათი ორგანიზაციული და საწარმოო გაძლიერება, მეურნეობრივი გაძლიერება, რაც მიღწეული უნდა იქნეს მძლილო და დამხმარე

თუ სამომხმარებლო დარგების შემდგომი განვითარებით, მრავალდარგიანი კომპლექსური წარმოების მოწყობით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშვენიერად იყო და არის ძვირფასი მრავალწლიანი კულტურები — ვაზი და ხეხილი, ჩაი და ციტრუსები. დირექტივები ითვალისწინებს მათი ფართობისა და მოსავლიანობის საგრძნობ გადილებას, ამავდროს ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის მედამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარცვლეულ მეურნეობას; აგრეთვე თამბაქოს, მწესუმწირას, შაქრის ჭარხალს და სხვა მინდვრის ტექნიკურ კულტურას. პარტია გვავალდებს კვლავაც დაუცხრომლად ვიზრუნოთ ამ კულტურების შემდგომი განვითარებისათვის. მათი ფართობის ზრდას უნდა დაუკავშირდეს რგვისა და თესვის; დამოუკიდებლად მოსავლის აღება-რეალიზაციის საქმის კარგად დაყენება — მოწინავე აგრაროოვერტენიკური, ორგანიზაციული და სამეურნეო ღონისძიებების მთელი სისტემის სწორი დასახვა და გატარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს, რომ საქართველოში: „სოფლის მეურნეობის დარგში უზრუნველყოფილი იქნას მებაღეობის, მევენახეობის, მეპირუტყვის, ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების შემდგომი განვითარება. ხარისხიანი ჩაის ფოთლის წარმოება 1960 წელს აყვანილ იქნას 165 ათას ტონაში; კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაზრდეს 17 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები, 15 ათასი ჰექტარი ვენახები, 6 ათასი ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავები“. ამვე დროს მარცვლეულის





წარმოება 1960 წლისათვის 1955 წელთან შედარებით გადიდებული იქნება დაახლოებით 1,3-ჯერ.

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული რესპუბლიკის მეცხოველეობის წინაშე. საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობამ დაავალდებულა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა და მისი პროდუქტულობის გადიდება: „უზრუნველყონ, რომ 1960 წელს მიღებულ იქნას საერთო პროდუქცია: ხორცის—145 ათასი ტონა, რძის—771 ათასი ტონა, მატყლის—4.500 ტონა, კვერცხის—675 მილიონი ცალი“. დასახულია მეცხოველეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობის ღონისძიებანი: პირუტყვის შენახვის (ბაგური და ბაგურ-ბანაჟური) და კვების, მათი ჯიშობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის მკვეთრი გაუმჯობესებისა, აგრეთვე ბერწიანობისა და დაევალება (თურქული, ბრუცელური). ლოკედაციისა, შენობა-ნაგებობათა და მათი გაწყობილობის მშენებლობისა და სხვ.

საკვები ბაზა იყო და კვლავ რჩება მეცხოველეობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ამოცანა ის არის, რომ აღმოიფხვრას საკვები ბაზის შეუფასებლობა, ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესდეს საქართველოში საკვებმოპოვების უმნიშვნელოვანესი წყარო — სათიბ-სამოვარე-საბალახოები მთასა და ბარში, მაგრამ ამასთან ერთად დიდად უნდა განვითარდეს ხელოვნური საკვებმოპოვებაც.

კომლენერგობებში ყველა ღონისძიებით უნდა გავაფართოოთ იონჯის, სამყურის, სუნაღური ბალახის, ცერკვლას მოყვანა და საკვები კულტურების ნათესების ფართობი 1960 წელს ავიყვანოთ სულ მცირე 100 ათას ჰექტარამდე; სილოსის დამზადება უნდა გადიდდეს 1,5 მილიონ ტონამდე 660 ათასი ტონის ნაცვალად 1955 წელს. თითოეულ კომლენერგობაში უნდა დამზადდეს იმდენი საკვები, რამდენიც საჭირო იქნება პირუტყვის მზარდი სუალადობის სრული უზრუნველყოფისა და მისი პროდუქტულობის გადიდებისათვის (მაგალითად, სილოსი უნდა დამზადდეს სულ მცირე 7-8 ტონა თითოეულ ძროხაზე).

დიდად უნდა განვითარდეს კომბინირებული საკვების ქარხნების მშენებლობა და მუშაობა, სრულად გამოიყენოთ მრეწველობის მრავალი დარგის (შაქრის, ლულის, ხორკომბინატის, წისქვილკომბინატის, პურის საცხობი და სხვ.), აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ანარქენებზე, ე. ი. ყოველგვარი შიგასაწარმოო და გარესამეურნეო რესურსები პირუტყვის საკვებად.

საბჭოთა კავშირის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში და საქართველოში მიწათმოქმედებისა და მთელი სოფლის მეურნეობის მკვეთრი განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია მელორაციანზე. ჩვენს რესპუბლიკაში საჭიროა მია-

ვალი სხვადასხვა სახის მელორაციული ფორმების გატარება; მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მიწების მორწყვა და ამოშრობა, რაც დიდი მასშტაბით ტარდებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. დირექტივებში გთვავისწინებულა ახალი მიწების მორწყვა 40 ათას და ამოშრობა 10 ათას ჰექტარზე.

მთიანი რელიეფის გამო საქართველოს ტყეებს დიდი ნიადაგის დაცვით, საკურორტო და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ტყის ექსპლუატაციაში ყველაფერი რიგზე არ იყო და ბევრ ისეთ ადგილებზე გაიჩნდა ტყე, სადაც ის შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო. ამიტომ საჭიროა ტყეების გაშენება ერთიან მასივებად, ნაპირების გასამაგრებლად, ქარსაფარებად... ხოლო რაც ამ უკანასკნელ ხანებში გაშენდა (4.000 ჰექტარი), მეტად მცირეა და ტყეების გაშენების ტემპი დიდად უნდა გაიზარდოს საბელმწიფო მეურნეობებში, კომლენერგობებში, პარკებსა და დაბებში, გზებისა და მდინარეების გასწვრივ დამცველობითი, ექსპლუატაციისა და გამწვანების მიზნით. აუცილებელია ტყის მოვლის, მავნებლებისაგან დაცვისა და შენარჩუნების ზუსტი რაიონობრივი ღონისძიებების დასახვა და გატარება. ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობამ დაავალა სოფლის მეურნეობის და სატყეო მრეწველობის სამინისტროებს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს წესრიგი დაამყარონ ტყეების ექსპლუატაციაში, გააუმჯობესონ ტყის ზოლებისა და ნარგავების მოვლა, გააფართოონ მაგისტრალური გზების გაშვანების სამუშაოები.

ამასთან, ყრილობამ მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მექანიზაციის ღონის მკვეთრად ამაღლება. ეს პირველ რიგში შეეხება ჩვენს შრომატევად მრავალწლიან ნარგავებს და გამსაკუთრებელია ჩაის კულტურის, რომლის ფოთლის კრეფის მექანიზაციისათვის რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიქმნას სრულფასოვანი მანქანა. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ექნება მტკების გადაყვანას საქალენეო ანგარიშზე, რასაც მომდინარე წლიდანვე შეუძლებელია. ეს გადიდდეს მტკების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საერთოდ წარმოების საშუალებათა და კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაღალეფექტურად გამოყენებისათვის.

მექანიზაციის უმაღლესი ფაზა ელექტროფიკაცია; ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ამ საქმეს თავიდანვე უდიდეს ყურადღებას აქცევენ. მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ წლებში გაიშალა დიდი მასშტაბის მუშაობა საქართველოს უმდიდრესი პიროვნებები გეოგრაფიული პოტენციალის მზარდი გამოყენებისათვის, რათა მალე აღმოიფხვრას ის დისპრობორცია, რომელიც ჯერ კიდევ სუფევს რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრან-

სპორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების, ე. ი. მთელი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებასა და ელექტროენერგიის ფაქტურ გამომუშავებას შორის. ეს საქმე მომავალშიც დიდი მასშტაბით გაიშლება.

„განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ საწარმოო პროდუქციის ელექტროენერგიათა სოფლის მეურნეობაში. მეექვსე ხუთწლედში ძირითადად უნდა დავამთავროთ სასოფლო რაიონების ელექტროფიკაცია რაიონული, საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურების მშენებლობის, აგრეთვე სახელმწიფო ენერგოსისტემაში მათი ჩართვის გზით“.

ამავე დროს საჭიროა სრული წესრიგი დამყარდეს არსებულ საკოლმეურნეო და სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ ექსპლოატაციაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო სისტემაში მნიშვნელოვანი ზედართი წონა აქვს საბჭოთა მეურნეობებს. საქართველოს საბჭოთა მეურნეობებმა 1955 წელს ქვეყანას მისცეს 43 მილიონი მანეთის მოგება. მაგრამ ჩვენში კიდევაც არარენტაბელური საბჭოთა მეურნეობანი; აუცილებელია, რომ მოკლე ხანში ყველა მათგანი გაზდეს არა მარტო რენტაბელური, არამედ მათში უყარაბოების ბოლომდე აღმოფხვრის, სახსრების ხარჯვაში მკაცრი მომჭირნობის განხორციელების, მიწების უკეთ გამოყენების, დარგთა და კულტურების სწორი შეთანწყობისა და მთელი მოშლის მკვეთრად გაუმჯობესების საფუძველზე შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება, გადაიქცეს ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო საწარმოოდ და მიღწეულ იქნეს 100 ჰექტარ სავარგულზე პროდუქციის მაქსიმალური გამოცავალი.

დიდი ამოცანები ისახება მეექვსე ხუთწლედში საერთოდ მეცნიერებისა და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა წინაშე, რომელიც დიდ ვალშია სოფლის მეურნეობის წარმოების მიმართ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და ყველა სახის პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდების მიზნით მთელი რიგი ამოცანები უნდა გადაჭრან ჩვენმა მეცნიერებმა. მათ განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა დაამუშაონ: დარგების სწორი გაადგილების, სივციალზაციისა და შეთანწყობის საკითხები ზონებრივი და ეკონომიური პირობების თვისებურებათა მიხედვით; სწორი თესვარუნების სქემები და მათი წარმოებაში დანერგვის ღონისძიებანი თითოეული კლმატური და ნიადაგური ზონისათვის; დიდერენციული აგროზოოფერტილიზის წესები ერთგვაროვან საწარმოო პირობებიანი მეურნეობებისათვის;

შრომისა და წარმოების საშუალებათა გამოყენების საუკეთესო ფორმები; დანახარჯთა მშვიკარქმის გზები და საერთოდ ორგანიზაციისა და ეკონომიკის საკითხები კოლმეურნეობათა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების კონკრეტულ პირობებში.

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობამ მოითხოვა დაახლოებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ინსტიტუტების მუშაობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების პრაქტიკულ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებთან.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულ დიდ ამოცანებს წარმატებით გადაჭრიან ადამიანები—მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. მათს ბეგით ორგანიზატორულ მუშაობას ყველა სიძნელისა და დამტკიცებათა გადალახვა შეუძლია.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ყველა საბჭოთა მშრომელი — მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი დავაზმობთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მდიდარი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მთელი ჩვენი ხალხი ბეგითად სწავლობს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებს. ამ ისტორიულ დოკუმენტში ისინი ხედავენ იმის მგაფიო დადასტურებას, რომ კომუნისტური პარტია დაუღალავად ზრუნავს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო ძლიერების შემდგომ განმტკიცებისა და ხალხის სიკეთისა და მისი ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის აყვავებისათვის.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა დიდ სამუშაოთა საბრძოლო პროგრამაა. ეჭვი არაა, რომ ეს ხუთწლიანი გეგმა დროზე და გადაჭარბებით იქნება შესრულებული. ამ ხუთწლიანი გეგმის შესრულება იქნება ახალი დიდი ნაბიჯი სოციალისტური ეკონომიკის, პირველ რიგში მძიმე მრეწველობის განვითარებისა და ამის საფუძველზე სახალხო მომხარების საგნების სიუხვის შექმნისაკენ, აწინ ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ კიდევ უფრო განმტკიცებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უძლეველობას.

მეჩქისი-ლენინი-ისტოკი ხალხის მასების შემაჯავებელი როლი შესახებ

6. მხაკი

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

პარტიის XX ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგები, რასაც მან კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელშეწყობით XIX ყრილობის შემდეგ მიადგინა. ყრილობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ პარტიის პოლიტიკურ და სამეურნეო-ორგანიზატორულ მოღვაწეობას, მის პოლიტიკას აქვს უაღრესად მაღალი და კეთილშობილური ამოცანა — კომუნისტური საზოგადოების აშენება, ხალხის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ის უდიდესი წარმატებები, რითაც ჩვენი ქვეყანა ამჟამად, მოპოვებულია ხალხის მასების შემოქმედებითი შრომის შედეგად. კომუნისტური პარტია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა დებულებით, რომ მასების ცოცხალი შემოქმედება საზოგადოებრივი განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომ ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა.

ხალხის მასების, როლის საკითხის გარშემო გაჩაღებული მწვავე ბრძოლა მარქსისტულ-ლენინურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის. რეაქციული სოციალიზმი მასების სოლიდარობას, მშრომელთა ორგანიზებულ ერთიან გამოსვლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ხატავს, როგორც ქვეყნობერ, ირაციონალურ, „უწესრიგო“ მოძრაობას; იგი იმეორებს ცაცხვილ შეხედულებას, რომ მშრომელი მასები ცივილიზაციისა და კულტურის მტრები არიან, რომ სულიერი კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება — ეს „რჩეული“ ქმნილებები კლასების, „სულის არისტოკრატის“ მქონეები. იდეალისტები „ამტყიცებენ“, რომ საზოგადოების განვითარების ერთადერთი განმსაზღვრელ, მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ იდეები და თეორიები, ამ იდეების მატარებელი ცალკეული პიროვნებანი; რომ მეცნიერება არის „წმინდა გონების“ პროდუქტი, იმ გენიოს გამოგონებების ფანტაზიის ნაყოფი, რომელთაც არაფერი ესაქმებათ ადამიანის პრაქტიკასთან, საზოგადოებასთან, წარმოებასთან. ეს შეხედულება უარყოფიდ იქნა ჯერ კიდევ რენესანსის მიერ, რომელიც ლიურიზმის საწინააღმდეგოდ აღნიშნავდა, რომ მეცნიერება წარმოიშობება პრაქტიკის, წარმოების პროცესში, ადამიანთა

მოთხოვნილებებიდან; რომ მათემატიკა, ქიმია, ასტრონომია და სხვა მეცნიერებანი მასების შრომითი მოღვაწეობის პროცესში იქმნებოდა და უმჯობესდებოდა. ყოველი ცალკეული მეცნიერის, გამოგონებლის შემოქმედება ემყარება კაცობრიობის უდიდეს გამოცდილებას, მსოფლიო კულტურის მიღწევებს, მრავალზე მრავალი თაობის გამოცდილებას, მასების შრომით გამოცდილებას. დარვინი და მიჩურინი თავიანთ გამოკვლევებში დამყარდნენ ბუნებისა და ადამიანთა პრაქტიკის უმდიდრეს მონაცემებს. აურაცხელი აღმოჩენები და გამოგონებანი მიეკუთვნება არა მარტო პროფესიონალ მკვლევარებს, არამედ პრაქტიკოსებს, მეცნიერებაში ნაკლებად ცნობილ და ზოგჯერ სრულიად უცნობ ადამიანებს, რიღას, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, მშრომელი მასები, ათეულ მილიონობით შემოქმედის გონება ქმნის განუზომოდ უფრო მაღალს, ვიდრე ყველაზე დიდი და გენიალური წინასწარხედვა.

ახლა საბჭოთა რიგითი მშრომელი არა მარტო ეუფლებიან მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლებს, არამედ თვითონ თავის მხრივ წინ წევენ მეცნიერებას, ეხმარებიან მეცნიერებს რთული პრობლემების გადაჭრაში. სწორედ ამავე მეტყველებს კოლმეურნე-მეცნიერის ტერმინი მალცევის მოღვაწეობა. მის მიერ წამოყენებული და პრაქტიკაში დანერგილი ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემა ამსხრევს აგრობიოლოგიაში დამკვიდრებულ ძველ შეხედულებებს და სახავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის გადიდების პერსპექტივებს.

იმ გარემოებიდან, რომ მეცნიერება პრაქტიკის საფუძველზე, პირველ რიგში მუშებისა და გლეხების საწარმოო პრაქტიკის საფუძველზე ვითარდება, პარტია აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნას, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს მეცნიერებისა და წარმოების მუშაობის კავშირი. ამჟამად წარმოების მრავალი ნოვატორი მონაწილეობს სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოს საქმიანობაში, აწარმოებს ნაყოფიერ კვლევით მუშაობას. მუშათა მასობრივი გამოგონებლობა და ნოვატორთა მოძრაობა საბჭოთა კავშირის ტექნიკური პროგრესის უზრეველი წყაროა. პარტია შეუპოვრად იბრძვის თეორიის, მეც-



ნიერების ცხოვრებისაგან მოწყვეტის წინააღმდეგ, ხალხთა მილიონების შემოქმედებითი შრომისაგან მოწყვეტის წინააღმდეგ, რადგან ასეთი მოწყვეტა მეცხოვრების უნაყოფო, ფუჭ საემიგრაციო აღკვეს.

მასების როლის ზრდა მეცნიერების, ტექნიკის განვითარებაში სრულებით არ ამცირებს დიდი გამოგონებულებით, მეცნიერებით, მოაზროვნეთა როლს. პირიქით მათი როლი და პასუხისმგებლობა განუსაზღვრელად იზრდება ხალხის წინაშე, რადგან იზრდება თვით ხალხის მომთხოვნელობა და საბჭოთა მეცნიერები ემსახურებიან მსოფლიოში ყველაზე ორგანიზებული, შეგნებული, კულტურული ხალხის ინტერესებს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს.

ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოების განვითარების განსაზღვრელ ძალას წარმოადგენს წარმოების წესი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებას ცხოვრება და განვითარება შეეძლოს. წარმოება შეუქმნელია მასების, მშრომელების, მატერიალური დოვლათის უშუალო შემქმნელების გარეშე, იმათ გარეშე, რომლებიც თავიანთი საწარმოო გამოცდილებებით, შრომითი ჩვევებით შეადგენენ საზოგადოების საწარმოო ძალთა უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

მაგრამ საკმარისი არ არის მასების როლზე ელლარაკით საერთოდ და ზოგადად. საჭიროა ხაზი გაესვას მშრომელების სულ უფრო და უფრო მზარდ როლს ისტორიაში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოციალიზმის დროს. მარქსიზმის ფუძემდებლები გვასწავლიდნენ რომ, მხოლოდ სოციალიზმიდან დაიწყებოდა სწორად, მშვენიერად მსოფლიო, მოსახლეობის უმრავლესობის, შემდეგ კი მთელი მოსახლეობის, მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების უსაღებლო ყველა დარგში. წარსულში არც ერთი საზოგადოებრივი წყობილების წინაშე არ იდგა ისეთი გრანდიოზული და კეთილშობილური ამოცანები, როგორიც წამოიჭრა მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში შემავალი ქვეყნების წინაშე.

სოციალიზმის პირობებში ხალხის მასების შემოქმედებითი როლი ახლებურად გლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში როგორც ეკონომიკის, პოლიტიკის, ისე კულტურის დარგში.

სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობა წარმოადგენს შეგნებულ პროცესს, რაც ხორციელდება მშრომელთა მასების მიერ. ემყარება რა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს, პარტის არ შეუძლია წინასწარ გაითვალისწინოს განვითარების ყველა ზოგზავი, ყოველი დეტალი. ამისათვის საჭიროა, რომ პარტია მჭიდრო კავშირში იყოს მასებთან, გაითვალისწინოს მათი პრაქტიკა. ამ აზრით წერდა ვ. ი. ლენინი: „ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას, რომ მარქსმა ან მარქსისტებმა იციან სოციალიზმისაკენ წამყვანი გზა მთელი მისი კონკრეტულობით. ეს უზარბაა. ჩვენ ვიცით ამ გზის მიმართულება, ჩვენ ვიცით, თუ რა კლასობრივ ძალებს მიყვ-

ავართ ამ გზით, ხოლო კონკრეტულად, პრაქტიკულად ამას გვიჩვენებს მხოლოდ მილიონები გზისა. მოცდილება, როდესაც ისინი ხელს მოჰკიდებენ საქმეს“ (თხზ., ტ. 25, გვ. 340).

მუშათა და გლეხთა მილიონები შრომის პროცესში იძენენ უდიდეს პრაქტიკულ გამოცდილებას. პარტია ყურადღებით სწავლობს მათ, მხარს უჭერს ყოველ გონივრულ წამოწყებას, ახლის ყლორტებს. სოციალიზმმა წარმოშვა სრულიად ახალი მამოძრავებელი ძალა სოციალისტური შეჯიბრების სახით, რაც მასების მაქსიმალურ აქტიუობას, ინიციატივას გულისხმობს და სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტურ მეთოდს წარმოადგენს.

ხალხის მასები ყოველთვის ახდენდნენ უდიდეს გავლენას საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მასებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდათ პროლეტარიატის ძალაუფლების ფორმის დადგენის საქმეში. როდესაც მარქსის წინაშე დადგა საკითხი, თუ რით უნდა ყოფილიყო შეცვლილი დამსხვრეული ბურჟუაზიით სახელმწიფო მანქანა,—იგი არ ეძლეოდა უტოიას და მასების მოძრაობის გამოცდილებიდან ელოდა პასუხს ამ კითხვაზე; და მართლაც პარტიის კომუნის გამოცდილებამ შესაძლებელი გახადა დასმული პრობლემა სწორად გადაწყვეტა. 1905 წლის მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ წამოაყენა მუშათა, დეპუტატების საბჭოები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ახალი, რევოლუციური ფორმის ჩანასახი გახდნენ. ლენინმა შეისწავლა და გადაჭრით დაუჭირა მხარი ხალხის ამ ინიციატივას, დაეხმარა მას იმაში, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო და ცხოვრებაში დამკვიდრებულიყო. საბჭოთა წყობილებამ უზრუნველყო მასების მაქსიმალური და ჩაბმა სახელმწიფო მართვაში, საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაში.

სოციალიზმმა უდიდესი შესაძლებლობა მისცა მასებს კულტურის დარგში ნაყოფიერი და მრავალხრივი მოღვაწეობისათვისაც. განთავისუფლებულმა ხალხმა, რომელმაც უკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი, მოკლე დროში დაძლია დაპირისპირება ფიზიკურ და გონებრივ შრომის შორის. ამასთან ერთად პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მშრომელთა კულტურული ღონის და კომუნისტური შეგნების შემდგომი ამაღლების საქმეს, რადგან ამის გარეშე წარმოუდგენელია კომუნისში გადასვლა.

განსაკუთრებით საგზომოდ გაიზარდა მასების როლი საერთაშორისო მასშტაბით, სახელმწიფოებისა და ხალხების საგარეო პოლიტიკის ურთიერთობაში. ცხადია, თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართვენ არა ხალხის მასები, არამედ მმართველი წრეები, რომლებიც უმთავრესად შედგებიან მონოპოლისტური კაპიტალის მოსაქმეებისა და მისი აგენტებისაგან. მაგრამ თვით ამ პირობებშიც კი საგზომობა მასების როლის ზრდა, რამდენადაც ხალხთა ნებასურვილის უგულვებელ-

ყოფა საშინო ხდება თვით რეაქციული ბოლიტიკოსებისათვისაც კი. ჩვენს ეპოქა გამოირჩევა წინა ეპოქებისაგან,—აღიარებს ბურჟუაზიული დიპლომატი მაღლსონი,—მასების დიდი აქტივობით, რომ არაფერი არ დარჩა XIX საუკუნის „ინტელექტუალური არისტოკრატისაგან“, რადგან ხალხი შეიჭრა დიპლომატიის სფეროში“. პაღლსტონი წინადადებას იძლევა გადასინჯულ იქნეს თანამედროვე დიპლომატია იმ მიზნით, რომ მასებს მოუსხლეთ პოლიტიკაში მონაწილეობის საშუალება. იგი ოცნებობს აბსოლუტუტუზმის დროინდელ, რიშელიესა და მაზარინის დროინდელ დიპლომატიას. მასების საზოგადოებრივმა აზრმა,—აცხადებს ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი უოლტერ ლიპმანი,—ჩვენს ეპოქაში დიდი გავლენა მოიხდის. იგი გამოქვეყნდა საშინო ძალად, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილებას, რომელზეც დამოკიდებულია სიცოცხლე თუ სიკვდილი. ლიპმანებს და პაღლსტონებს არ სურთ გაიგონ, რომ შეუძლებელია ისტორიის ჩარხის უკუღმა მოტრიალება, რომ ამჟამად ხალხები უადრესად დაინტერესებული არიან საგარეო პოლიტიკის საკითხებით, რადგან საქმე ეხება ომისა და მშვიდობის საკითხს, ასეულ მიღწეობით ადამიანის სიცოცხლისა და კეთილდღეობის საკითხს.

რაც უფრო ფართო მასებია ჩამოყალიბებისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლაში, მით უფრო იზრდება მოძრაობის ხელმძღვანელთა როლი. სოციალისტური გარდაქმნების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი შეიძლება იყოს მხოლოდ გამოცდილი, ბრძოლაში გამოწრთობილი მარქსისტულ-ლენინური პარტია; თუ ასეთი პარტია არ ხელმძღვანელობს, მუშათა კლასს არ შეუძლია დაამხოს კაპიტალიზმი და ააშენოს კომუნისტური წყობილება. მუშათა კლასი ძველი სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში თავისი წრიდან გამოყოფს ახალი ტიპის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ თეორიულ და პრაქტიკულ-ორგანიზატორულ ძლიერებას. პარტიის სათავეში დგას ცენტრალური კომიტეტი როგორც პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანო, რომელიც ყველაზე გამოჩენილ, გამოცდილ, ბრძოლაში გამოწრთობილ მოღვაწეთაგან შედგება. შეუძლებელია წარმატებით გაგუძღვეთ კომუნისტურ მშენებლობას, თუ ღრმად არ შევისწავლეთ პარტიის, მუშათა კლასის, პარტიულმა მასებმა კოლექტიური გამოცდილება. რა ღრმა და ყოვლმხრივი არ უნდა იყოს ხელმძღვანელთა გამოცდილება, ის სრულებით საკმარისი არ არის; იგი შევსებული უნდა იქნეს მასების გამოცდილებით. ამაში პარტიას ეხმარება კრიტიკა და თვითკრიტიკა, განსაკუთრებით ქვემოდა კრიტიკა, რომელიც გამოხატავს მიღწეობის მოწოდებით შემოქმედებით ინიციატივას და თვითმოქმედებას.

კომუნისტებისა და ყოველი მშრომლის აქტიურობის გაძლიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიაში ბიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას. პარტია აღიარებს, რომ ხელმძღვანელებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ ისტორიაში. ხალხს და ხალხის პარტიას ესაქმნებათ მოწინავე, გამოჩენილი მოღვაწეები, რომელთაც შეუძლიათ გამოხატონ ხალხის ინტერესები და ნება. მაგრამ საკმარისია ხელმძღვანელი მოსწყდეს მასებს, რომ მან დაკარგოს მოძრაობისადმი სწორად, მეცნიერულად ხელმძღვანელობის უნარი.

კომუნისტებისა და ყველა მშრომლის აქტიურობის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიაში ბიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას. პარტიის XX ყრილობის რეზოლუციამ სკაპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია: „ყრილობას მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი სასესიო სწორად გამოვიდა ბიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება ამცირებდა პარტიისა და ხალხის მასების როლს, ამცირებდა პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და ხშირად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში, და ავალბებს ცენტრალურ კომიტეტს არ შეასუსტოს ბრძოლა ბიროვნების კულტის გადამონათვის წინააღმდეგ, მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდოს ის, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედელი ხალხის მასებია, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს“.

ბიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლა არ ნიშნავს გავიზიაროთ ანარქისტული, წვრილბურჟუაზიული შეხედულება, რომელიც ხელაღებით უარყოფს ხელმძღვანელის, ორგანიზატორის როლს. სრულებით არა. ხელმძღვანელობის კოლექტიურობა არ უარყოფს ცალკეული ხელმძღვანელის როლსა და პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. ცნობილია აგრეთვე, რომ უარყოფილი არ არის ერთმართვლობის პრინციპი ფაბრიკა-ქარხნებში და სამხედრო საქმეში.

XX ყრილობამ რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა ხალხი მისი კოლექტიური ზედადის—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შესარულეს მეექვსე ხუთწლილით დასახულ ამოცანებს და ამით მნიშვნელოვნად დააჩქარებს კომუნისტურ გადსავლას.

პარტიისა და ხალხის ურდევები კავშირით და ერთიანობა ჩვენი ქვეყნის ძლიერების უზრუნველყოფაში. მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი მოძღვრებით აღჭურვილი კომუნისტური პარტია კიდევ უფრო დარაზმავს თავისი უძლეველი დროის ქვეშ მთელ საბჭოთა ხალხს და მიიყვანს მას კომუნისტური ახალ მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებამდე.

ახალი მეცნიერება

საინჟინრო პიბეჟნეზიკა

ა. აღიშვინი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ელექტრონული საანგარიშო მანქანების
მოწყობილობა*

ორი რიცხვის—ოთხისა და ხუთის შეკრება ასე
გამოისახება:

$$\begin{array}{r} +100 \\ +101 \\ \hline 1001 \end{array}$$

ჯამში მიღებული სიდიდე აღრიცხვის ორობით
სისტემაში ციფრ 9-ს გამოისახება.

ყოველი რიცხვი საბაზისო რიცხვის—ორის გარ-
კვეული ხარისხების ჯამს წარმოადგენს. ასე, მაგა-
ლითად, ათობით სისტემაში გამოსახული რიცხვი 25
აღრიცხვის ორობით სისტემაში ასე გამოისახება:


$25 = (1 \times 16) + (1 \times 8) + (0 \times 4) + (0 \times 2) + (1 \times 1)$
მაგრამ ვინაიდან $16=2^4$; $8=2^3$; $4=2^2$; $2=2^1$ და
 $1=2^0$, რიცხვი ოცდახუთისათვის საბოლოოდ შემდეგ
გამოსახულებას მივიღებთ:

$$\begin{array}{r} 10000 \\ + 1000 \\ \hline 1 \\ \hline 11001 \end{array}$$

ამგვარად, აღრიცხვის ორობით სისტემაში რიცხ-
ვი ოცდახუთი ნიშნების შემდეგი თანმიმდევრობით
გამოისახება:

11001

აღრიცხვის ორობითი სისტემა ელექტრონულ
საანგარიშო მანქანებში იმიტომ გამოიყენება, რომ
0 და 1 ნიშნებით წარმოდგენილი თანმიმდევრობანი
ელექტრული იმპულსების საშუალებით ადვილად
გამოისახება. ელექტრული ძაბვის იმპულსის არსე-
ბობა ერთს შეესაბამება, არარსებობა კი—ნულს.
რიცხვი ოცდახუთის ელექტრული იმპულსებით წარ-
მოდგენის გრაფიკი 1-ლ ნახაზზეა ნაჩვენები. იმპულ-
სებს ზუსტად განსაზღვრული ხანგრძლიობა უნდა
ახასიათებდეს. იმპულსების შესაქმნელად გენერა-



ნახ. 1


ტორების ორობითი სისტემაში მხოლოდ ორი
ციფრი—ნული და ერთი გამოიყენება. რიცხვი ორი,
რომელიც აღრიცხვის ორობითი სისტემის საფუ-
ძველს წარმოადგენს, ასე დაიწერება $1 + 1 = 10$; რი-
ცხვი სამი— $10 + 1 = 11$, ოთხი— $11 + 1 = 100$ და ა. შ.

* დასასრული, იხ. „მეცნიერება და ტექნიკა“, №4, 1956 წ.

ტორები, ხოლო მათი აღრიცხვისა და იმპულსების თანმიმდევრობით გამოსახული რიცხვების ფიქსაციისათვის კი სპეციალური მრიცხველები გამოიყენება. ასეთი მრიცხველების ძირითადი ელემენტები ელექტრონული მილაკები და ნახევრადგამტარი გამართვებლები არის.

ორელექტროდული ელექტრონული მილაკი, ანუ დიოდი, წარმოადგენს მინის ან ლითონის კოლბს, რომლიდანაც პაერი ამოტუმბულია, ხოლო შივ მილაკის ანოდი და კათოდი მოთავსებული. მილაკის ანოდს დიდებით პოტენციალს, კათოდს კი უარყოფით პოტენციალს აწოდებენ. თუ მილაკის კათოდს გავარკვავებთ, იგი ელექტრონების ნაკადს გამოტყორცნის, რომელიც დადებითი ანოდისაკენ მიიზიდება. ელექტრონების ნაკადი, რომელიც კათოდისაგან ანოდისაკენ მიემართება, ელექტრონულ მილაკში გავალა დენს წარმოადგენს. ამგვარად, მილაკი ელექტრონულ დენს მართავს ატარებს, რაც ანოდის პოტენციალი კათოდისას აღემატება.

სამელექტროდული მილაკი—ტრიოდში კათოდსა და ანოდს შორის მოთავსებულია მესამე ელექტროდი—ბადე. თუ ბადეს პოტენციალი კათოდისას აღემატება, იგი ხელს უწყობს ანოდისაკენ მიმართული ელექტრონების ნაკადის ზრდას. როდესაც ბადეს პოტენციალი კათოდის პოტენციალზე უფრო უარყოფითია და უარყოფითი პოტენციალის სიდიდე გარკვეულ მნიშვნელობას აღწევს, შესაძლებელია ელექტრონების ნაკადის შეწყვეტა, ანუ ელექტრონული მილაკის „ჩაქცევა“.



შესასვლელი იმპულსი

ნახ. 2

განვიხილოთ მე-2 ნახაზზე მოყვანილი სქემა. დავუშვათ, რომ ერთ-ერთი მილაკი, ვთქვათ V_1 , დენს ატარებს, მეორე მილაკი V_2 კი—არ ატარებს. თუ მოწყობილობის შესასვლელზე უარყოფითი იმპულსი მივაწოდებთ, V_1 მილაკის მუშაობის რეჟიმი არ შეიცვლება, რადგან აღნიშნული მილაკი უკვე ჩაქცეულია. V_2 მილაკის ბადეს პოტენციალი კი შემცირდება, რის შედეგადაც მილაკში გამავალი დენი და R_2 ანოდის წინააღმდეგ ბაძვის ვარდანც მცირდება და A_2 ანოდის პოტენციალი ნახტომით იზრდება. ვინაიდან V_2 მილაკის ანოდი V_1 მილაკის ბადესთან არის შეერთებული, A_2 ანოდზე პოტენციალის ზრდას V_1 მილაკის ბადეს პოტენციალის ზრდაც მოყვება. სქემაში ჩართული ანოდური წინააღმდეგობები ისე ირჩევა, რომ V_1 მილაკის ბადეს უარყოფითი პოტენციალი საკმარისი აღმოჩნდეს მილაკის ანთებისათვის. V_1 მილაკი ანთების დენზე დენის გამტარი ხდება. მილაკში გამავალი დენი და R_1 წინააღმდეგობა ბაძვის ვარდანა იზრდება, რაც A_1 ანოდის პოტენციალის შემცირებას იწვევს. რადგან A_1 ანოდი V_2 მილაკის ბადესთან არის შეერთებული, A_1 ანოდის პოტენციალის შემცირება V_2 მილაკის ბადის პოტენციალის შემცირებას იწვევს. ამის შედეგად V_2 მილაკი ჩაიქცება და დენს აღარ გაატარებს. ამგვარად, თუ მოწყობილობის შესასვლელზე უარყოფითი იმპულსის მიწოდებამდე V_2 მილაკი დენს ატარებდა, ხოლო V_1 მილაკი კი ჩაქცეული იყო, ამ იმპულსის მიწოდების შემდეგ V_2 მილაკი ჩაიქცება, V_1 მილაკი კი დენის გამტარი გახდება. შემდეგი უარყოფითი იმპულსი V_1 მილაკს ჩაქცავს, V_2 მილაკი კი ისევ გამტარი გახდება და ა. შ. ამგვარად, უარყოფითი იმპულსების მიმდევრობის მიწოდებით V_1 და V_2 მილაკების რიგრიგობით გახსნა-ჩაქცევა ხორციელდება. აღწერილ მოწყობილობას „ტრიგერი“ ეწოდება.

როდესაც V_2 მილაკი გამტარი ხდება, A_2 ანოდის პოტენციალი ნახტომისებურად მცირდება. პოტენციალის შემცირება შეიძლება სქემის გამოსასვლელ იმპულსად მივიჩნიოთ, მაშინ სქემის შესასვლელზე მიწოდებული ყოველი ლუწი იმპულსი ტრიგერის გამოსასვლელზე ერთ იმპულსს იძლევა (შესასვლელზე მიყვანილი კენტი იმპულსი გამოსასვლელზე იმპულსს არ იძლევა).

შევერთოთ რამდენიმე ტრიგერი თანმიმდევრობით ისე, რომ პირველი ტრიგერის გამოსასვლელი მეორის შესასვლელს, მეორის გამოსასვლელი მესამის შესასვლელს უერთდებოდეს და ა. შ.

მოვაწყეთ სპეციალური ინდიკატორი, რომელიც ტრიგერის მილაკების მუშაობის რიგითობის მაჩვენებელი იქნება. მივიღეთ, რომ ტრიგერი აღრისხავს რიცხვს ერთს, როდესაც მარცხენა V_1 მილაკი მუშაობს, და—ნულს, როდესაც მარჯვენა V_2 მილაკი მუშაობს. დავუშვათ, რომ სქემის გაშვებამდე ყველა

ტრიგერის მარცხენა მილაკი ჩაკეტილია, ანუ ყველა ტრიგერი ნულს გვაჩვენებს.

პირველი ტრიგერის შესასვლელზე უარყოფითი იმპულსის მიწოდების შემდეგ მოწყობილობა ამუშავდება, V₁ მილაკი გაიხსნება და პირველი ტრიგერი ერთს აღრიცხავს, დანარჩენი ტრიგერების რეჟიმი კი არ შეიცვლება, რადგან მათ შესასვლელზე იმპულსი მიწოდებული არ ყოფილა. როდესაც პირველი ტრიგერის შესასვლელზე მეორე იმპულსს მივაწოდებთ, მარცხენა მილაკი ჩაკეტება, მარჯვენა კი გაიხსნება და ამავე დროს მეორე ტრიგერის შესასვლელს პირველი იმპულსი მიუვა. რადგან პირველი ტრიგერის მარცხენა მილაკი ჩაკეტილია, იგი ნულს აღრიცხავს. მეორე ტრიგერი პირველი ტრიგერიდან მისული იმპულსი სქემას გადართავს, მარცხენა მილაკი აინთება და ტრიგერი ერთს აღრიცხავს. თუ პირველ ტრიგერს შემდეგ მესამე იმპულსი მივაწოდებთ, სქემა ისევ გადართება და იგი ერთს აღრიცხავს, მეორე ტრიგერი კი ჩვენებას არ შეცვლის. მეოთხე იმპულსი ისევ გადართავს პირველ ტრიგერს და მისი ჩვენება ისევ ნული გახდება. სამაგიეროდ მეორე ტრიგერს შემდეგი იმპულსი მიუვა, ისიც გადართება, ტრიგერის მარჯვენა მილაკი აინთება და იგი ნულს აღრიცხავს. მეორე ტრიგერის გამოსასვლელზეც იმპულსი წარმოიქმნება, რომელიც მესამე ტრიგერს გადართავს. მესამე ტრიგერის მარცხენა მილაკი აინთება და იგი ერთს აღრიცხავს. პირველ ტრიგერზე შემდგომი იმპულსის მიწოდების შემდეგ ტრიგერების ჩვენებები ასეთი იქნება: პირველის—ნული, მეორის—ნული, მესამის—ერთი, ე. ა. თუ მარჯვნივ მარცხნივ ვიანგარიშებთ, სამივე ტრიგერის ჩვენება იქნება 100, ანუ რიცხვი ოთხი ორგზის აღრიცხავს.

ზემომოყვანილი მაგალითიდან ვხედავთ, რომ მეორე ტრიგერი ყოველ მეორე იმპულსს აღრიცხავს, მესამე—ყოველ მეოთხეს, მეოთხე—ყოველ მერვებს და ა. შ.

თუ თანმიმდევრობით ოთხ ტრიგერს ჩაერთავთ და ტრიგერების საწყისი ჩვენება ნული იქნება, 16 იმპულსის მიწოდების შემთხვევაში ტრიგერების თანმიმდევრობითი ჩვენებანი იქნება: 0001, 0011, 0100, 0101, 0110, 0111, 1000, 1001, 1010, 1011, 1100, 1101, 1110, 1111, 0000. მე-16 იმპულსი მთელ საანგარიშო მოწყობილობას საწყის მდგომარეობაში აბრუნებს. ამგვარად, ოთხი თანმიმდევრობით ჩართული ტრიგერის საშუალებით შესაძლებელია ანგარიშის განხორციელება 0-დან 15-მდე. სათანადო რაოდენობით ტრიგერების თანმიმდევრობით ჩართვისას კი შეიძლება ანგარიშის წარმოება ნებისმიერ რიცხვამდე.


თითოეული ტრიგერი ერთი წამის განმავლობაში რამდენიმე მილიონ გადართავს ახორციელებს, რაც მთელი მოწყობილობის სწრაფმოქმედებას აპირობებს.

აღნიშნული აღწერილი მრიცხველების ერთი მთავარი უპირატესობაა მრიცხველის მოწყობის მარტივობა. მრიცხველი მარტივად შეიძლება შეიქმნას რაოდენობას აღრიცხავს. თუ იმპულსების მიწოდებას შევწყვეთ, ყველა ტრიგერი იმპულსების შეწყვეტის მომენტში არსებულ რეჟიმში დარჩება და მრიცხველის ჩვენება არ შეიცვლება. ამგვარად მრიცხველის ჩვენება ფიქსირდება. მრიცხველი ასე ვთქვათ „იმახსოვრებს“ ჩვენებას.


დავუშვათ, რომ მრიცხველი რაიმე რიცხვს, ვთქვათ 25-ს, გვიჩვენებს. თუ მრიცხველის შესასვლელს იმპულსების სახით ვარკვეულ ახალ რიცხვს, ვთქვათ 32, მივაწოდებთ, მრიცხველი ამოქმედდება და ძველ ჩვენებას—25-ს ახალ რიცხვს—32-ს მიუმატებს. 32-ე იმპულსის მიწოდების შემდეგ მრიცხველის ახალი ჩვენება იქნება $25 + 32 = 57$. ამგვარად მრიცხველი შეკრების ოპერაციას ახორციელებს.

აღწერილი მრიცხველების მთელი რიგი და ზოგიერთი დამატებითი სამარჯვე საანგარიშო მანქანების არითმეტიკულ მოწყობილობას წარმოადგენს, რომელსაც სუმატორსაც უწოდებენ. აღნიშნული მოწყობილობა ძირითად არითმეტიკულ ოპერაციას—გამოკლება-შეკრებას და გაყოფა-გამრავლებას აწარმოებს.

ზემოაღნიშნულ ნაწილებს გარდა, ელექტრონულ-ცენტრულ მანქანებს შემდეგი მოწყობილობა აქვს: შესასვლელი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც საანგარიშო მანქანას საწყისი მონაცემები და შესასრულებელი ოპერაციების პროგრამა მიეწოდება; გამოსასვლელი მოწყობილობა, რომელიც გაანგარიშების შედეგებს გასცემს; მართვის მოწყობილობა.



ბილობა, რომელიც ახორციელებს მოცემული პროგრამის მიხედვით გაანგარიშების ავტომატურად წარმართვას; მოწყობილობა, რომელიც შუალედური გაანგარიშების შედეგებს და პროგრამას ინახავს და რომელსაც მანქანის მესხიერება ეწოდება.



ნახ. 4

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტრიგერის მოწყობილობას ჩვენების შენახვა შეუძლია, ე. ი. გარკვეული „მეხსიერება“ აქვს. ტრიგერების გარდა მესხიერების მქონე მოწყობილობის სხვა სახეებსაც იყენებენ. ფართოდ იხმარება, მაგალითად, მაგნიტური ლენტი, რომელიც ჩვეულებრივ მაგნიტოფონებშიც გამოიყენება. მე-3 ნახაზზე მოყვანილია მაგნიტური ჩაწერის პრინციპული სქემა.

იმპულსების თანმიმდევრობა, რომელიც გარკვეულ რიცხვს გამოისახავს, გაძლიერების შემდეგ ჩამწერ მოწყობილობას გადაეცემა, რომელიც სპეციალური ტიპის ელექტრომაგნიტის წარმოადგენს.

ელექტრომაგნიტი მიწოდებული იმპულსების ზემოქმედებით აღეზნება და მის ბოლუსებს შორის მოძრავ ლენტს დაამაგნიტებს. აღნიშნული მოწყობილობის ელექტრომაგნიტის ბოლუსებს შორის ლენტის გატარებისას კი ლენტზე ჩაწერილი იმპულსები ელექტრომაგნიტის გრავილიში ისეთივე სახის იმპულსებს წარმოქმნის, რომელნიც გაძლიერების შემდეგ მანქანას გადაეცემა.

მესხიერების მოწყობილობა ცალკეულ უჯრედებად დაიყოფა. თითოეულ უჯრედში გარკვეული ტიპის ნიშნების თანმიმდევრობა ინახება, რომელიც რომელიმე რიცხვს შეესაბამება. მესხიერების ყოველ უჯრედს აქვს თავისი რიგითი ნომერი, ანუ, როგორც მას უწოდებენ, მისამართი. თუ მანქანის მესხიერება ას უჯრედს შეიცავს, მათი ნუმერაცია იქნება 000-დან 999-მდე. თითოეულ უჯრედში შესაძლებელია ნიშნების გარკვეული რაოდენობის შენახვა, რომელთა ამოკითხვა არ ცვლის უჯრედში შენახული ნიშნების შინაარსს.

ძირითადი ოპერაციები და პროგრამის შედგენა

მე-4 ნახაზზე მოყვანილია ციფრული საანგარიშო მანქანის სქემა, რომელიც ნათელყოფს მანქანის ცალკეულ ძირითად ნაწილებს შორის არსებულ კავშირებს. როგორც აღვნიშნეთ, მანქანა წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით მოქმედებს. პროგრამა მთელი რიგი ოპერაციისაგან შედგება. თითოეული ოპერაციის შესრულებისათვის სპეციალური ინსტრუქცია მუშავდება. ეს ინსტრუქციები გარკვეული რიცხვებისა და ნიშნების სახით არის ჩაწერილი. დავუშვათ, რომ მანქანის მესხიერებაში შეიძლება ხუთნიშნა ათობითი რიცხვების შენახვა. ამ შემთხვევაში ინსტრუქციის პირველი ორი ციფრი იმ ოპერაციის მამკენებელია, რომელიც უნდა შესრულდეს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ შესასრულებელი ოპერაციის კოდირების შემდეგი ნიმუში:

ოპერაცია	კოდი
შეკრება	01
გამოკლება	02
გამრავლება	03
წაშლა და შეკრება	04
შენახვა	05
გადატანა	06
პირობითი გადატანა	07
შეკრება	00

ინსტრუქციის დანარჩენი სამი ციფრი, რომელსაც მისამართის უწოდებენ, მესხიერების უჯრედის ნომერს იძლევა და იმის მაჩვენებელია, თუ საიდან უნდა იყოს აღებული რიცხვი, რომელზეც უნდა ჩატარდეს გარკვეული ოპერაცია, ან სად უნდა მოთავსდეს ოპერაციის შედეგად მიღებული რიცხვი.

ასე, მაგალითად, ინსტრუქცია 01562 იმის მაჩვენებელია, რომ მანქანის სუმატორის მიერ აღრიცხულ რიცხვს უნდა მიემატოს (კოდი 01) ის რიცხვი, რომელიც ინახება მესხიერების 562-ე უჯრედში. ინსტრუქცია 05283 აღნიშნავს, რომ სუმატორზე მიღებული რიცხვი უნდა გადატანილი იქნეს მესხიერების 283-ე უჯრედში. ინსტრუქცია 06125 იმის მაჩვენებელია, რომ შემდეგი ინსტრუქცია აღებულ უნდა იქნეს მესხიერების 125-ე უჯრედიდან და ა. შ. პირობითი გადატანის ოპერაცია საშუალებას იძლევა გაანგარიშების თანმიმდევრობის შეცვლისა წინა გაანგარიშების შედეგების შესაბამისად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ოპერაციის საშუალებით შესაძლებელია ზოგიერთი ლოგიკური ამოცანის ამოხსნა. პირობითი გადატანის ოპერაცია დამოკიდებულია მის რიცხვის ნიშანზე, რომელიც მიღებულია სუმატორზე წინა ოპერაციის შესრულების შედეგად. თუ აღნიშნული რიცხვი დადებითია, მანქანა ასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ ოპერაციას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც რიცხვი უარყოფითია,

მანქანა განახორციელებს იმ ოპერაციას, რომელიც გათვალისწინებულია პირობითი გადატანის ინსტრუქციით.

მე-4 ნახაზზე ნაჩვენებია მანქანის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული კავშირები. მთლიანი ნახაზებით აღნიშნულია არხები, რომელთა საშუალებით მონაცემების (რიცხვებისა და ინსტრუქციების) გადაცემა წარმოებს, წყვეტილი ნახაზით კი—მართვის არხები. მანქანის მუშაობა ორ ტაქტად მიმდინარეობს. დასაწყისში ინსტრუქცია მანქანის მესხიერების ბლოკიდან ინსტრუქციების რეგისტრს გადაეცემა, სადაც ინსტრუქციის გაშიფრვა ხდება. ინსტრუქციის გაშიფრვის შედეგად მანქანის მართვის ბლოკს იმპულსების გარკვეული თანმიმდევრობა გადაეცემა და სხვადასხვა საჭირო გადართვები ხორციელდება.

გადართვების განხორციელების შემდეგ მართვის ბლოკიდან მესხიერების მოწყობილობას გადაეცემა საჭირო სიგნალები, რომელთა შესაბამისად მუშაობის მეორე ტაქტი სრულდება. მუშაობის მეორე ტაქტის შესრულებისას რიცხვები მესხიერების მოწყობილობიდან არითმეტიკულ მოწყობილობას გადაეცემა ან, პირიქით. მანქანის ამოშვებისას ინსტრუქციების მრიცხველი შეიცავს მესხიერების უჯრედის მისამართს 000. მართვის მოწყობილობა კი უჯრედის შინაარსის გადაცემის შესახებ ინსტრუქციების რეგისტრში იძლევა სიგნალს, რის შემდეგ აღნიშნული ინსტრუქცია ავტომატურად სრულდება. პირველი ინსტრუქციის შესრულების შემდეგ ინსტრუქციების მრიცხველში ინსტრუქციის ნომერს ავტომატურად რიცხვი 1 ემატება. ამიტომ 000 ინსტრუქციის შესრულების შემდეგ მანქანა ავტომატურად გადადის 001 ინსტრუქციის შესრულებაზე და ა. შ. გამონაკლისს შეადგენს ის შემთხვევა, როდესაც უკანასკნელი შესრულებული ინსტრუქცია ითვალისწინებს პირობითი გადატანის ოპერაციას, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არღვევს ინსტრუქციების შესრულების თანმიმდევრობას.

განვიხილოთ მარტივი პროგრამის მაგალითი. ვთქვათ საჭიროა სამი სიდიდის a , b , c -ს შეკრება და მიღებული შედეგის შენახვა. a , b და c სიდიდეები ინახება შესაბამისად მესხიერების 101, 102 და 103 უჯრედებში, შეკრების შედეგი კი შენახული უნდა იქნეს 104 უჯრედში.

ამ შემთხვევაში, მესხიერების უჯრედში, რომლის მისამართია 000, მოთავსებული იქნება ინსტრუქცია 04100, რომელიც აღნიშნავს, რომ სუმატორზე არსებული წინა ოპერაციების ჩვენება უნდა წაიშალოს და აიკრიბოს მესხიერების 101 უჯრედში შენახული სიდიდე a . მესხიერების 001 უჯრედი შეიცავს 01102 ინსტრუქციას, რომლის მიხედვითაც სუ-

მატორზე აღრიცხულ რიცხვს უნდა მიემატოს 102 უჯრედში მოთავსებული სიდიდე e . ი. ე. 002 უჯრედი შეიცავს 01103 ინსტრუქციას, რომელიც აღნიშნავს, რომ სუმატორზე აღრიცხულ რიცხვს უნდა მიემატოს 103 უჯრედში შენახული სიდიდე. i . ე. c , ბოლოს 003 უჯრედში მოთავსებული 05104 ინსტრუქციის მიხედვით სუმატორზე აღრიცხული რიცხვი i . $a + b + c$ გადატანული უნდა იქნეს 104 უჯრედში. ამგვარად, უკანასკნელი ინსტრუქციის შესრულების შემდეგ შესაფერის უჯრედებში 101, 102, 103 და 104 შენახული იქნება სიდიდეები a , b , c და $a + b + c$.

აღწერილი საანგარიშო მანქანა აგებულია ევრეთ წოდებულ „ერთი მისამართის“ პრინციპზე. არსებობს აგრეთვე მანქანები, რომელთაც ორი, სამი და ოთხი მისამართი აქვთ.

ორი მისამართის შემთხვევაში პირველი მისამართი ინსტრუქციაში ნიშნავს უჯრედის ნომერს, საიდანაც აღებული უნდა იქნეს რიცხვი, მეორე მისამართი კი უჯრედს, საიდანაც აღებული უნდა იქნეს შემდეგი პროგრამა. ორმისამართიან მანქანებში საჭირო აღარაა ინსტრუქციების მრიცხველი. სამისამართიან ინსტრუქციებში პირველი ორი მისამართი აღრიცხავს რიცხვებს, რომელზეც უნდა წარმოებდეს ოპერაცია, მესამე მისამართი კი ნიშნავს უჯრედს, სადაც უნდა შეინახოს ოპერაციის შედეგი. შემდეგაა მეოთხე მისამართის, იმ უჯრედის დამატება, სადაც ინახება შემდგომი პროგრამა.

მეტად მნიშვნელოვანია ის მდგომარეობა, რომ ინსტრუქციები მანქანის მესხიერების მოწყობილობაში უზრალო რიცხვების სახით ინახება; ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაანგარიშების მთელი პროცესი, ინსტრუქციების ჩათვლით, შეიძლება შეცვლილ იქნეს გაანგარიშების წინა შედეგების მიხედვით, რაც პირობითი გადატანის ოპერაციის შემოღებით ხორციელდება.

საჭიროა რამდენიმე სიტყვით იმის განმარტება, თუ როგორ ხდება საწყისი მონაცემების მიწოდება და გაანგარიშების შედეგების მიღება.

საწყისი მონაცემები შეიძლება გადაეცეს მანქანას მრავალი ზერხით. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარ პერფორირებული ქაღალდის და ზეყაოს ლენტები ან ფირები, მაგნიტური ლენტები, ფოტოგრაფიული ფირები და სხვ. ყველა რიცხვი და მონაცემი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩაიწერება განსაკუთრებული კოდით.

გაანგარიშების შედეგები შეიძლება ჩაწერილ იქნეს სპეციალურ პერფორირებულ ლენტზე ან ფირზე. ფოტოფირზე ან მაგნიტურ ლენტზე. ცნობილია აგრეთვე მგეტლავი მოწყობილობა, რომელიც გაანგარიშების შედეგს ნაბეჭდი ტექსტის სახით იძლევა.





ა. კარაგაშვილი


რადიოტელეგრაფიკა — რადიო-ოთი მოძრაობის და უძრავი ობიექტების შორიდან მართვა. ის რადიოტელეგრაფიკის ერთ-ერთი საინტერესო დარგია. განა საინტერესო არ არის ათობით და ასობით კილომეტრზე მართო შექანისში, გემი, თვითმფრინავი ან სხვა ობიექტი? მათ მაშინვე შეიძლება ერთი ადამიანი კი არ იყოს, ისინი კი ზუსტად და „უფოყმანოდ“ ასრულებენ მიღებულ ბრძანებებს.

რადიოტელეგრაფიკამ საღლი-სოდ დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ უფრო მეტად საყურადღებოა მისი გამოყენება ახლო მომავალში. საჰაეროშია აღინიშნოს, რომ პირველი რაკეტა, რომელიც დედაამიწას დატოვებს და კოსმოსურ სივრცეში გაიჭრება, რადიოთი იქნება მართული.

სანამ უშუალოდ აღვნიშნავდეთ რადიოტელეგრაფიკის გამოყენების ცალკეულ შემთხვევებს, განვმარტოთ, თუ როგორ წარმოებს რადიოთი შორის მანძილზე არსებული ობიექტების მართვა. მაგალითისათვის, ვთქვათ საჰაერო შორი მანძილზე ავამუშაოთ ელექტროდრავა (ნახ. 1).

ელექტროდრავის ბატარეასთან ჩასართავად, გადამცემი პუნქტში აღდგმება რადიოგადამცემი, ხოლო

ელექტროდრავასთან — რადიომიმღები. რადიოგადამცემიდან იგზავნება ხანმოკლე სიგნალები — ელექტრომაგნიტური ენერგიის იმპულსი. რადიომიმღები ანტენის მეშვეობით ღებულობს სიგნალს, რის გამოც ამუშავდება რადიომიმღებებთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ელექტრომაგნიტური რელე. რელე თავისი კონტაქტით ჩართავს ელექტროდრავას წრედში, ელექტროდრავა ამუშავდება. როგორც კი რადიოგადამცემიდან შეწყდება იმპულსის გაგზავნა, რელე ელექტროდრავას გამოთიშავს. ასე, მრავალ კილომეტრზე დაშორებული რადიოგადამცემებით შეგვიძლია ხან ჩავრთოთ, ხან გამოვრთოთ ელექტროდრავა. ცხადია რომ, თუ ელექტროდრავას დავუკავშირებთ მანქანას, მისი მოქმედება დამოკიდებული იქნება ჩვენს სურვილზე.



განსილულ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ერთი ბრძანების გადაცემა რადიოთი, მაგრამ უმეტესად ეს საჰაეროში არ არის. თანამედროვე მანქანები და მექანიზმები საკმაოდ რთულ მოწყობილობებს წარმოადგენს, ამიტომ მათ სამართავად აუცილებელია რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ბრძანების გადაცემა. როგორ უნდა მოხდეს ამ ბრძანებების გადაცემა და მიღება? რასაკვირველია, შესაძლებელია ყოველი ბრძანების გადაცემა-მიღებისათვის ცალკეული რადიოგადამცემი და რადიომიმღები მოეწყოს. მაგრამ ეს საქმეგს აბრთხლებს, რადიომიმღებში

სპეციალური მოწყობილობის — კონტაქტი შეერთებულია ნათუნაბიჯური გამანაწილებლის გამოყენებით პრაქტიკულად განხორციელდა სხვადასხვა ბრძანებების ერთი რადიოგადამცემით გადაცემა. აი, როგორ ხდება ეს (ნახ. 2).

ნაბიჯური გამანაწილებელი, რომელიც რადიომიმღებთანაა დაკავშირებული, შედგება ელექტრომაგნიტის, კბილანა ბორბლისა და მასზე დამაგრებული საკონტაქტო ღეროსაგან. საკონტაქტო ღერო საათის ისრის მიმართულებით მოძრაობისას გადაივლის 1-ლ მე-8 კონტაქტებზე. ამათგან 1-ლ და მე-2 კონტაქტთან დაკავშირებულია ელექტროძრავები, ხოლო მე-3 კონტაქტთან — ზარი. მე-4

კონტაქტი შეერთებულია ნათუნაბიჯური გამანაწილებლის გამოყენებით პრაქტიკულად განხორციელდა სხვადასხვა ბრძანებების ერთი რადიოგადამცემით გადაცემა. აი, როგორ ხდება ეს (ნახ. 2).

ერთი იმპულსის მიღების შემთხვევაში რეულ ერთხელ მიიზიდავს ლუხას და ჩართავს ელექტრომაგნიტს. თავის მხრივ ელექტრომაგნიტი ერთი კბილანით გადაადგილებს კბილანა ბორბალს და საკონტაქტო ღერო 1-ლ კონტაქტზე შეჩერდება. ამიტომ მუშაობას დაიწყებს 1-ლი ელექტროძრავა.

თუ საჭიროა მე-2 ელექტროძრავას ამუშავება, რადიოგადამცემიდან უნდა გაიგზავნოს სხვა ბრძანება — ორი იმპულსი. კბილანა ბორბალი საკონტაქტო ღეროს მე-2 კონტაქტზე შეაჩერებს. ჩაირთვება ამ ელექტროძრავას მე-3 კონტაქტთან — ზარი. მე-4

სამი იმპულსის მიღების შემთხვევაში წკრიალს დაიწყებს ზარი, ხოლო თუ რადიომიმღებში ოთხ იმპულსს მიიღებს, აინთება ნათურა. ისე რომ, რადიოგადამცემიდან იმპულსების განსაზღვრული რიცხვის გაგზავნის დროს გარკვეული ელექტროწერტი იკვრება სამართავ ობიექტზე. რადგან განხილულ სქემაში 8 კონტაქტია ნაჩვენები, შესაძლებელია რადიოგადამცემიდან გაიგზავნოს და ადგილზე შესრულდეს 8 სახის ბრძანება.

მაგრამ იბადება კითხვა: როცა მაგალითად, 3 იმპულსს ვგზავნით და საკონტაქტო ღერო გადადის 1-ლ და მე-2 კონტაქტზე, ხომ არ ამუშავდება ამ დროს ელექტროძრავები?


ელექტროძრავების წრედი არ შეიცვრება ამ შემთხვევაში და აი, ჩატომ. თუ ნახაზს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ელექტროსქემაში ჩართულია დროის რეულ, რომლის დანიშნულებაზე არ გვილაპარაკია. ეს რეულ ელექტრომაგნიტთან ერთად იწყებს მუშაობას, მაგრამ დაგვიანებით ოზიდავს ლუხას, ამიტომ ელექტროძრავების წრედი ამ ლუხის მეშვეობით გაწყვეტილია და მათ კონტაქტებზე (1-ლ, მე-2) საკონტაქტო ღეროს დროებით შეჩება მათ ამუშავებას ვერ გამოიწვევს.

ასევე მოხდება საკონტაქტო ღეროს სხვა კონტაქტებზე მოძრაობის დროსაც.

მოცემულ ნახაზზე განხილული სქემით მხოლოდ 8 ბრძანების შესრულება შეიძლება, რაც, რასაკვირველია, ხშირად საკმარისი არ არის. ამ შემთხვევებში იზრდება კონტაქტების რიცხვი.


ასეთია რადიოტელეგრაფიის ძირითადი პრინციპი.

ჩვენ განვიხილეთ ისეთი მაგა-



ნახ. 2

ლობით, როცა რადიოსიგნალები ცალკეული ელემენტების ელექტროძრავა, ნათურა, ზარი) ამოქმედებას იწვევს. ცხადია, ყველა ისინი შეიძლება მოძრავ ობიექტებზე (თვითმფრინავი, გემი, ნავი და სხვა) მოთავსდნენ და ელექტროძრავები დაუკავშირდეს მათ საჭეებს. მაშინ შესაძლებელი გახდება ობიექტების მოძრაობის მიმართულებების შეცვლა.



რადიოთი მართული რაკეტა მომავალში

უძრავი და მოძრავი ობიექტების რადიოთი მართვის იდეა ჯერ კიდევ მაშინ წარმოიშვა, როცა რადიომ განვითარება დაიწყო. ამ საკითხებზე განსაკუთრებით გულმოდგინედ მუშაობდა ხაჩკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი ნ. დ. პილჩიკოვი, რომელმაც პირველმა მოახდინა შორი მანძილზე ნაღმების აფეთქების საჯარო ცდები. შემდგომ შეიქმნა ტორპედოებისა და მოტორიანი ნაგების სამართავი რადიომოწყობილობები.

ცხრა ბრძანებას ასრულებდა: „წინ სვლა“, „უკან სვლა“, „უფრო ჩქარა“, „ნელა“, „მარჯვნივ მოხვევა“, „მარცხნივ მოხვევა“, „სლექ“, „მიეცი საყვირი“, „აანთე სასიგნალო ნათურები“. ახლა არსებობს გემები, რომლებიც 150 ბრძანებას ემორჩილება. ერთ-ერთ ასეთ გემზე რადიომოწყობილობებმა 800 კაცი შეცვალა.

იქნებოდა თვითმფრინავებზე პერმეტული კაბინებისა და ჯანგბადის მომარაგება, რაც დაამძიმებდა მის კონსტრუქციას და შეამცირებდა ფრენის ხანგრძლიობას.

მომავალში რადიოთი მართული თვითმფრინავები ალბათ გამოყენებას პოვებს ფოსტისა და ტვირთის შორი მანძილზე გადასაზიდად. ამ დროს ისინი დიდ სიმაღლეებზე იფრენენ.

რადიოთი დღეს ადვილად ხდება არა მარტო ცალკეული თვითმფრინავების, არამედ მთელი ესკადრილების მართვა. პასთან, თვითმფრინავები უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებსაც კი აკეთებენ. რასაკვირველია, მიწაზე მყოფ რადიოოპერატორს ამ შემთხვევაში დიდი ოსტატობა მართებს.

უკვე ახლა რადიომართვა საშუალებას იძლევა რაკეტები ასეულ კილომეტრებზე ავიდეს და ავტომატურად ჩაატაროს საინტერესო ცდები.

რადიომართვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალ სიმაღლეებზე თვითმფრინავების ფრენისათვის. თუ არა რადიოტელემეჩანკა, მფრინავისათვის საჭირო

რადიოტელემეჩანკა ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი საქმეა. ათასობით რადიომოყვარული, ნორჩი ტექნიკოსი და მოდელისტი აგებს გემების, ავტომობილების, თვითმფრინავების მოდელს, რომლებიც შორიდან იმართება რადიოთი.



მართვის რადიო

თვითმფრინავიდან რადიოთი მეორე თვითმფრინავის მართვა

მეტად საინტერესო გამოდგა დიდი გემების რადიოთი მართვა. პირველი რადიოგემი მხოლოდ



„გულაშის“ თბილისელი ისტორიკოსები

პ. ჩოლოყაშვილი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი

ლითონის მონეტები და დამუშავება საქართველოში ძველთაგანვე მიმდინარეობს. მეტალურგიის დარგში ქართველმა ხალხმა წინაპართა მდიდარი გამოცდილება შემდგომ განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა; უკვე XIX საუკუნეში საქართველო იარაღის გამავრცელებელი კერა ყოფილა. ეს ჩანს აღმოსავლური საქურგლის კარგი მცოდნის, გენერალ პოტოს შემდეგი სიტყვებიდან: „ჩვენები ცხოვრობდნენ შორს შავი ზღვიდან და საქართველოდან, იარაღის გამავრცელებელი ამ ორი ცენტრიდან“.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ინდოეთთან ერთად საქართველო განთქმული ყოფილა მსოფლიოში საუკეთესო ფოლადის — „ბულატის“ წარმოებით. ამის შესახებ სათანადო ცნობას გვაწვდის რუსი მეტალურგი პ. ანოსოვი.

ქართულ „ბულატს“ ლერმონტოვი ასახელებს ლექსში — „ხანჯალი“: „ქართული ჩემი ბულატი“.

საქართველოში „ბულატის“ წარმოების შესახებ მეტალურგიის საბჭოთა მკვლევარი სემიონოვი აღნიშნავს: „მხოლოდ საქართველოში და ზოგიერთ სხვა რაიონებში იცოდნენ ბულატის იარაღის დამზადების ხელოვნება. ამიერკავკასია, ინდოეთთან და ახლო აღმოსავლეთთან ერთად (სპარსეთი, სირია), ასეთი იარაღით დასავლეთ ევროპას ამარაგებდა“. „საქართველოში „ბულატი“ იყო არა მარტო გავრცელებული, — აღნიშნავს ბოგაჩევი, — არამედ ცნობილი იყო მისი დამზადების ხერხები“.


უნდა ვივარაუდოთ, რომ „ბულატის“ დამზადების ერთ-ერთი მთავარი კერა ჩვენში თბილისი იყო. პოლკოვნიკ ბურნაშოვის ცნობაში XVIII საუკუნის თბილისის შესახებ აღნიშნულია, რომ კავკასიის ყველა მთის ზალზებსა და მახლობელ ირანულ მუზონლებს სხვა ნივთებთან ერთად „ხმლებსა და ხანჯლებს“ თბილისიდან აწვდიდნენო. ჩამოთვლის რა თბილისურ საბრძოლო იარაღის სახეებს, იოანე ბატონიშვილი მიუთითებს: „იხილეს მუნ მეჩახმახეები, მეთოფეები და ხმლის მკეთებლები“. XVIII საუკუნის უცხოელი მოგზაურების ტურნეფორისა და გილდენშტეტის მიხედვით თბილისში თურმე „თოფის წამალსაც ამზადებდნენ“.

XIX საუკუნის თბილისის, როგორც მაღალი ხარისხის იარაღის დამზადების ცენტრის, დასახასიათებლად შეიძლება გავიხსენოთ ა. პუშკინის შემდეგი სიტყვებიც: „თბილისური იარაღი ძვირად ფასობს მთელს აღმოსავლეთში“.

მხატვარ გ. გაგარინის მიერ დახატული თბილისის ბაზრის წინა პლანზე სწორედ ხმლებით ვაჭრობა ასახული (ნახ. 1). ნახატის ამხსნელ ტექსტში გ. გაგარინი ხაზს უსვამს იმას, რომ „თბილისის ბაზრის ქუჩებში ნახავთ იარაღის ოსტატებს, რომლებიც ხმლებს ქედავენო“. XIX საუკუნის ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში გვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ „მთელ ამიერკავკასიაში ფოლადის ერთი საუკეთესო ოსტატი იმყოფება თბილისში, მისი ნახელავი ხმალი და სატყევეარი საუკეთესოა“.

ამ მოკლე ცნობებიდანაც ჩანს, თუ რა ინტენსიური საქმიანობა წარმოებდა ჩვენს დედაქალაქში მაღალი ხარისხის ფოლადის დამზადებისათვის.

ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ XIX საუკუნის „ბულატის“ ერთი ცნობილი თბილისელი ოსტატის ელიზბარაშვილის ოჯახზე, რომლის წინა-



ნახ. 1

მარი იაგორი, იგივე გიორგი, განთქმული ხმლის ოსტატი ყოფილა. ეს ხელობა მას თვითონაც მემკვიდრეობით ჰქონია მიღებული და შემდგომ შვილებისათვის გადაუცია. „ბულატის დამზადების საიდუმლოება ელიზარაშვილებს გადაცემული ჰქონდათ წინაპრებისაგან“, — ნათქვამია ისტორიულ ცნობაში.

1828 წლის რუსულ ჟურნალში „სვეტრნი არხივ“ გ. ელიზარაშვილის შესახებ მითითებულია, რომ ის „მთავრობისაგან პრივილეგირებული იყო“. აქვე აღნიშნულია, რომ მისი ხმალი, რომელიც „საუკეთესო ბულატისაგან და შესანიშნავი წრთობით არის დამზადებული, დამსკურს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა.“ როგორც ხმლის მკეთებელი, გიორგი იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ლეონტიოვი მას თავის დღიურშიც კი მოიხსენიებს. ამას გარდა გ. ელიზარაშვილს დიდი პოეტი ასახელებს ლექსის—„პოეტი“ ერთ-ერთ ვარიანტში:

„ვერცხლის ქარქაშში მძლავრად ბრწყინავს ჩემი ხანჯალი,

გიორგის მიერ ძველისძველად ნაქმდი რვალი, მისი ბულატი საიდუმლო წრთობას ინახავს, დიდი ხანია რაიც ჩვენთვის უცნობი არა“.

ელიზარაშვილების შესახებ ცნობები დაცულია 1841 წლის „გორნი ჟურნალში“, აგრეთვე წიგნში „რუსეთის იარაღი XI — XIX სს.“ 1953 წელს ყარაბან ელიზარაშვილის, გიორგის უფროსი ვაჟისა და მისი მეორე მემკვიდრის, საქმიანობა შესწავლა პროფ. პ. გუგუშვილმა. მითითებული წყაროების მიხედვით ელიზარაშვილებს მოღვაწეობა უღებოდათ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ქარგი ხმლის დამუშავებას რუსეთში სერიოზული ყურადღება ექცეოდა. ამ მნიშვნელოვანი საქმის ხელმძღვანელობა ნიკოლაზ I-ის დავალებით იმდროინდელი რუსეთის იარაღის ქარხნების უფროსს, იმავე ფინანსთა მინისტრს კანკრინს დაუფასრებია გენერალ პასკევიჩისათვის, „რომელსაც აზიის ქვეყნებში მოგზაურობის გამო, აღმოსავლეთის ხმლების ღირებულება სწებზე უკეთ შეეძლო შეფასებინა“. ამ დავალების შესასრულებლად პასკევიჩი მიუმართავს ელიზარაშვილებისათვის, რომელთა სახელი შორს იყო გავარდნილი.

საუკეთესო ფოლადის წარმოების საიდუმლოება მკაცრად ინახებოდა, ვინაიდან მის გამხელა-გადაცემასთან დაკავშირებული იყო ცრუმორჩუნეობაზე დამყარებული სამშრომლობა. მიუხედავად ამისა იაგორის ერთ-ერთმა შვილმა — ყარაბანმა 1828 წელს რუსეთს გადასცა ქართული ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში გამოქმულებული ქართული ფოლადის—ხმლის დამზადების საიდუმლოება და მის მიერ დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხმლებისა და სატყერგების თოხი ნიმუში,

რომელიც გენერალ პასკევიჩმა ნიკოლაზ I-ს გადაეცა, ხოლო ყარაბანს კი 160 ჩერვინეც გადაეცა და. საუკეთესო ფოლადის დასამზადებლად ყარაბანი ასახელებდა: ქართულ ნალებს, ინდოეთის რკინა—„გუნცას“ და სხვ.

ინდოეთის რკინის „გუნცას“ შესახებ აღნიშნულია, რომ ქართველი ოსტატები მას ინდოეთიდან იღებდნენ საუკეთესო ფოლადის—„ბულატის“ დასამზადებლად. ე. პოტის გადმოცემით ყარაბანი მოითხოვდა ინდოეთის რკინას, რომლისაგანაც შეიძლებოდა მხოლოდ გამოქედილიყო ნამდვილი „ბულატი“. იგი ასევე მოითხოვდა ქართული ფოლადის და თუჯის ფხვნილის შენახვას. ყარაბან ელიზარაშვილის რჩევით, აღმოსავლური მასალის შეცვლა შესაძლებელი იყო, თუ რუსეთის ქარხანაში დამზადებული ლითონიდან შეჩერული იქნებოდა ქართული თუჯისა და ფოლადის ფხვნილის მსგავსი მასალა.

ძეები ელიზარაშვილები თანახმა იყვნენ რუსეთში წასახლებლად, რათა იქ გადაეცათ ხმლის დამზადების თავისი ცოდნა-გამოცდილება. მაგრამ მოხდა პარიკით: თბილისში ელიზარაშვილების ხმლის დამზადების შესასწავლად გამოგზავნილ იქნა ზლატაუსკის ქარხნის ორი მოწინავე ოსტატი ვასილ ივკავიცი და უსტოვლი კარლ ვოლფერტი, აგრეთვე მუშები დიატოვი და ივანოვსკი. ელიზარაშვილებთან მათ რუსეთის ქარხნიდან ჩამოიტანეს საუკეთესო მასალა, რომლის დამუშავებისათვის ძმებმა ელიზარაშვილებმა გამოიყენეს თავისი მდიდარი ტრადიციული გამოცდილება და ზლატაუსკის ოსტატებთან ერთად გამოქედეს საუკეთესო ხმალი „ბულატი“.

მსოფლიოში ბულატის წარმოების შესახებ პ. ანოსოვი აღნიშნავს: „ქართველი ოსტატები გვიარწმუნებენ, რომ ტაბანის (საუკეთესო ბულატის) დამზადების ხელოვნება თვით აზიში უკვე 600 წელია დაკარგულია.“ სხვა სახის ბულატის—კარატაბანის და კარა-ხოროსანის (ბულატის სახეები)—ქართული ხმლის ოსტატების ცნობაზე დაყრდნობით პ. ანოსოვი დასძენს „ხოლო სხვა სახის ბულატის — კარა-ტაბანის და კარა-ხოროსანის (ბულატის სახეები) იშვიათობას-და წარმოადგენსო“. პ. ანოსოვის ეს განცხადება იმ დროს ეხება, როცა თბილისური ხმლის ოსტატების ელიზარაშვილების ოჯახი ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით ხმალი ზემოაღნიშნული მასალით ამუშავდნენ, ხოლო ზოგ ხმალს კი ორივე ბულატისაგან (კარატაბანი მარჯვენა და კარა-ხოროსანი მარცხენა მხრიდან). ძეები ელიზარაშვილები ამავე მეთოდით ამუშავებდნენ თბილისში გამოგზავნილ ზლატაუსკის საუკეთესო ოსტატებს: იუჟაოვსკა და ვოლფერტს. რუსეთის მთავრობისათვის „ბულატის“

რეცეპტის გადასაცემად ყარაშანი ოქროს მედლით დაჯილდოებას მოითხოვდა. ამ ჯილდოს მიღებას იგი თხოულობდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მის მიერ გაგზავნილი რეცეპტით დამზადებული იქნებოდა მსგავსი ხმალი.

მან ეს ჯილდო კიდევ მიიღო. ელიზარაშვილების ხმლის დამზადების რეცეპტის შესწავლის შედეგად კანკინმა გასცა ბრძანება, რომ ყარაშან ელიზარაშვილი დაჯილდოებულიყო ოქროს მედლით, რომელსაც აქვს წარწერა: „სასარგებლოსათვის“ ანას ლენტით ყელზე ჩამოსაკიდებლად. კანკინის ბრძანებით ელიზარაშვილის მუშაობის გასაგრძელებლად უნდა მისცემოდა თანხა. გარდა ამისა მთავრობა ყარაშან ელიზარაშვილს დაპირდა ფულად ჯილდოს, თუ ის მასთან გაგზავნილ შეგირდებს კარგად ასწავლიდა ხმლის დამზადების წესებს. მშებმა ელიზარაშვილებმა კეთილსინდისიერად გადასცეს თბილისში გამოგზავნილ ზღატაუსტის რუს ოსტატებს თავიანთი ტრადიციული ცოდნა-გამოცდილება და 1832 წელს შეგირდებთან ერთად მეორედ გაუგზავნეს იმპერატორს თავიანთი ნახელავი ხმლები, რის შედეგადაც იმპერატორის განკარგულებით ყარაშანი დააჯილდოეს 1.000 ჩერვონეცით (ოქროთი), ზოლი და ვოლფერცი კი 500—500 ჩერვონეცით. თუ რა ისწავლეს ზღატაუსტის ქარხნის ოსტატებმა ელიზარაშვილებისაგან, ამის შესახებ გენერალი პოტო აღნიშნავს: „ორი წლის მეცადინეობამ ქარხანას მოუტანა არანაკლები სარგებლობა იმიტომ, რომ შემთხვევით თუ არა შემთხვევით ზღატაუსტის ქარხნის მიერ გამოშვებული საუკეთესო ხმლებად რუსეთის კავალერიაში ყოველთვის ითვლებოდა ის ხმლები, რომლებზეც აღნიშნულია: 1832-33 და 34 წწ. და რომლებიც სწორედ ყარაშანის შეგირდების მოღვაწეობის პირველ წლებს ემთხვევა“.

ყველა ზემოდასახელებული დოკუმენტი: ყარაშანის ოქროს მედლით დაჯილდოება, ელიზარაშვილების მიერ მუშაობის გასაგრძელებლად საგანგებო თანხის გადმოორციხვა, ზღატაუსტის ოსტატების თბილისში გამოგზავნა და სხვ. გვაჩვენებს „ბუღალტის“ დამზადების ჩვენს მიერ მიგნებული ელიზარაშვილებისეული რეცეპტის სარგებლობაზე.

ამიტომ ეს რეცეპტი გაღვივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტს. უკვე რამდენიმე თვეა ქ. რუსთავეში ერთ-ერთ საამქროში ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ-კორესპონდენტის, მეტალურგ კარლო ლეჟავას ხელმძღვანელობით წარმოება ელიზარაშვილის რეცეპტის გამოცდა, რამაც კარგო შედეგებზე მოგვცა. ცდების მთლიანი კომპლექსი ჯერ არაა დამთავრებული, მიუხედავად ამისა ელიზარაშვილის რეცეპტის მიხედვით დამზადებული ფოლადის ერთ-ერთ ნიმუშს, რომელიც მიღებულ იქნა 1955 წლის 2 დეკემბერს, ინჟ. მეტალურგ კ. ლეჟავას მონაცემებით, ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1. ტექნოლოგიის დამუშავება გამოავლინა დიდი უპირატესობა ლითონის ცხლად დამუშავების საქმეში; 2. ელიზარაშვილის რეცეპტის მიხედვით დამზადებული ფოლადის ნიმუში ჩარჩხვ დამუშავებისას ჩვეულებრივი საჭრისებით ვერ გაიჭრა. მისი გადაჭრა მოხერხდა მხოლოდ რამდენიმეჯერ ალესილ საუკეთესო საჭრისი — „პობედისტის“ საშუალებით; ეს იმის მაჩვენებელია, რომ ელიზარაშვილის რეცეპტით დამზადებული ფოლადი დიდი სიბლანტით ხასიათდება; 3. ელიზარაშვილის რეცეპტით ჩატარებული მჭედლური შედუღების ნიმუშები ხასიათდება დიდი სიმტკიცით; 4. ელიზარაშვილების რეცეპტის კუსტარულად დამუშავების შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს უმაღლესი ხარისხის ფოლადი—ბულატი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ფ. თავაძის დასკვნით ელიზარაშვილების რეცეპტით მიღებული ფოლადი პარალელს პოულობს უძველეს ქართულ ფოლადთან. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ელიზარაშვილისეული რეცეპტი ღირსეული მონაბოვარია, როგორც მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა საქართველოს მეტეფიკის, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერთა და რუსთავეის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშაკების ნაყოფიერი თანამშრომლობისა. ამ შემოქმედებითი თანამშრომლობის წარმატებით განვითარება შესაძლებელს გახდის იმას, რომ ქართველი ხალხის აწმეფიყებული მონაბოვარი მეტალურგიის დარგში კვლავ ხალხის საკუთრებად იქნეს.





ინჟინერი პ. ნაჩაბიძე

შორეულ ქალაქებს შორის სატელეფონო კავშირი საკმაოდ ძვირი ღირს; საჭიროა სატელეფონო ხაზები, რომელთა გაყვანა ათასკილომეტრთან უზნებზე ასობით ტონა ლითონსა და უამრავ საყრდენს მოითხოვს.

მეცნიერებმა და ინჟინრებმა დიდი ხანია მუშაობა დაიწყეს სატელეფონო ხაზების ეკონომიურად გამოყენების საკითხზე — ერთი ხაზით ერთდროულად რამდენიმე ლაპარაკის განხორციელების შესაძლებლობაზე.

ამჟამად საბჭოთა საეციალისტების მიერ უკვე დამუშავებული ისეთი აპარატურა, რომელიც საშუალებას იძლევა ერთი სატელეფონო ხაზით მოხდეს 12, 24 და უფრო მეტი სატელეფონო ლაპარაკი, რომლის დროს აბონენტები სრულებით არ უშლიან ხელს ერთმანეთს.

როგორ ხდება რამდენიმე სატელეფონო ლაპარაკი ერთი ხაზით, რატომ არ უშლიან ხელს აბონენტები ერთმანეთს? ეს კითხვები დაბეჭდება ყველას, ვინც კი გაიფიქრა ამ შესანიშნავი ტექნიკური მიღწევის შესახებ.

შევეცდებით მოკლედი ეუბასუხით ამ კითხვებზე.

არა ერთხელ გვსმენია სასიამოვნო გუნდის სიმღერა. თუ დავუკვირდებით გუნდის მიერ სიმღერის შესრულებას ტექნიკური თვალსაზრისით, აღვიღო მიგზნებით, რომ მელოდია წარმოიშვება ყველა მომღერლის მიერ წარმოქმნილი ბგერითი რხევების ერთობლიობით. მაგრამ სიმღერის დროს ჩვენ შეგვიძლია გამოვარჩიოთ რომელიმე გარკვეული ხმა: ბანი, ან ტენორი, რადგან ბანის

ბგერების რხევათა სიხშირე რამდენჯერმე ნაკლებია, ვიდრე ტენორისა. აღმაინის ყური ადვილად არჩევს ერთმანეთისაგან სხვადასხვა სიხშირის რხევებს. ყურის შეუძლია რომელიმე გარკვეული სიხშირის მქონე რხევები აღიქვას, თუნდაც ამ დროს უამრავი ხმა ისმოდეს. ისე, რომ მას თავისებური „ფილტრი“ აქვს, რომლის დახმარებით მხოლოდ სასურველი სიხშირის რხევებს ღებულობს.


რატომ არ შეიძლება ერთი ხაზი სხვადასხვა სიხშირის მქონე დენები გავატაროთ და შემდეგ ელექტრული ფილტრების დახმარებით ისინი ერთმანეთისაგან გამოვყოთ? ტელეფონის საეციალისტებმა მიიჩნიეს, რომ ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა შეიძლება და დაიწყეს მუშაობა ერთი ხაზით რამდენიმე ერთდროული სატელეფონო ლაპარაკის განსახორციელებლად.

ელექტრული ფილტრი ერთ მავთულში ერთდროული სატელეფონო და სატელეგრაფო გადაცემისათვის პირველად გამოიყენა


ნიჟიერმა რუსმა გამოგონებელმა კაპიტანმა გ. გ. იგნატიევმა, რომელმაც 1880 წლის 29 მარტს კიევის უნივერსიტეტის ფიზიკის კაბინეტში განახორციელა ასეთი კავშირი.

ფილტრი სხვა არ არის რა, თუ არა ჩვეულებრივი კონდენსატორის და წინააღმდეგობის კოქსის ერთობლიობა. სწორედ მისი გამოყენებით გახდა შესაძლებელი სატელეფონო და სატელეგრაფო გადაცემები ერთი ხაზით. ასეთი კავშირის დღესაც იყენებენ სამხედრო საქმეში.

ელექტრული ფილტრი თავისებური „საცერია“. ზოგ სიხშირეებს ის კარგად ატარებს და ზოგს კი გზას უღობავს. რაც მაღალი სიხშირე, მით ადვილად გადის კონდენსატორში, ხოლო, რაც ნაკლებია, მით უფრო უშნაღდება მას კონდენსატორში გავლა. ამგვარად, თუ შერჩეული იქნება გარკვეული ტევადობის კონდენსატორი, შეიძლება მიღწეულ იქნეს ის, რომ მასში გავიდეს ბგერითი სიხშირეები და ვერ გავიდეს სა-



ტელეგრაფო სიგნალები, რომლებსაც უფრო დაბალი სიხშირეები აქვს.



ნახ. 2

როგორც 1-ლი ნახაზიდან ჩანს, მრავალ კილომეტრზე გაჭიმული კავშირგაბმულობის ხაზის ერთ ბოლოს (სადგური ა) უერთდება ერთი ტელეგრაფისა და რელეფონის აპარატი, მეორეს (სადგური ბ) მეორე ტელეგრაფის და ტელეფონის აპარატი. საჭიროა, რომ ორივე ტელეგრაფის აპარატის ერთმანეთთან მუშაობის დროს კავშირგაბმულობის ხაზში შესაძლებელი იყოს აგრეთვე ტელეფონით საუბარი. ტელეფონმა და ტელეგრაფმა ხელი არ უნდა შეუშალოს ერთმანეთს.

ტელეგრაფული გადაცემები ხდება არა უმეტეს 100 ჰერცზე (ჰერცილი წამში), ხოლო სატელეფონო გადაცემა წარმოებს 250 და 3400 ჰერცს შორის არსებულ ზონაში. ორივე სადგურის ტელეფონის ქსელში ჩართულია ფილტრი, რომელიც ტელეფონის აპარატებისაქენ არ ატარებს ტელეგრაფის დენებს—ის ღიღ წინააღმდეგობას წარმოადგენს მათთვის. ამავე დროს ფილტრი ტელეფონებისაქენ თავისუფლად ატარებს სიხშირეებს, რომლებიც თავის მხრივ გზას ვერ „გაგანებენ“ ტელეგრაფის აპარატებისკენ მათი ოლექტრომაგნიტების წინააღმდეგობის გამო. ისე, რომ კონდენსატორებისა და ელექტრომაგნიტების ხეიბის გამოყენების სატელეფონო და სატელეგრაფო დენები სადგურებში ერთმანეთისაგან გამოიყოფა, მიუხედავად იმისა, რომ კავშირგაბმულობის ხაზში მათ ერთდროულად უხდებოდათ „მოგზაურობა“.

ამეხმად სწორედ კონდენსატო-

რებისა და ხეიბის—დროსელების კომბინირებით მზადდება ელექტრული ფილტრები, რომლებიც სხვადასხვა მაღალი სიხშირის დენებს გარკვეული მიმართულებით გზავნიან, ყოველ მათ ერთმანეთისაგან. როგორც ამბობენ, ფილტრები სიხშირეების გარკვეულ ზონებს ატარებს. მაგალითად, ერთ ფილტრს შეუძლია გაატაროს მხოლოდ ის დენები, რომელთა სიხშირე 50-დან 100 ჰერცს აღეწევს, მეორეს—დენები 300-დან 1000 ჰერცამდე, მესამეს—5000-დან 10.000 ჰერცამდე და ა. შ.

როცა ჩვენ რადიომიმღებლის სახელურის ტრიალით ზოგადად რადიოსადგურის გადაცემას ვეძებთ, ჩვენ უამრავ სიხშირეებში გარკვეული სიხშირის „ამირჩევს“ ცვლილებები. ამისათვის რადიომიმღებლებშიც არსებობს ფილტრები.


მაგრამ საიდან შეიძლება ერთ სატელეფონო ხაზში მივიღოთ სხვადასხვა სიხშირეები, რა მზადება, რომ ხაზში რამდენიმე ტელეფონის აპარატი უშუალოდ ჩავრთოთ? ტელეფონებით ლაპარაკი შეუძლებელი აღმოჩნდება, რადგან აბონენტების სიტყვები ერთმანეთში აირევა და გერავითარი ფილტრები ერთმანეთისაგან მათ ვერ გამოარჩევენ იმიტომ, რომ სატელეფონო ლაპარაკის დროს მხოლოდ ერთნაირი სიხშირეები გვაქვს. მაგრამ სატელეფონო ხაზებში სხვადასხვა სიხშირეები სპეციალური გენერატორების დახმარებით შეგვიძლია მივიღოთ. ხაზთან დაკავშირებულ ყოველ ასეთ გენერატორს შეუძლია გარკვეული სიხშირის დენი მოგვცეს.

ერთ ხაზთან (ნახ. 2) შეერთებულია სამი სხვადასხვა სიხშირის გენერატორი. მაღალი სიხშირის დენები ერთდროულად გადის ხაზში და ცალკეულ მიმღებში ხვდება იმიტომ, რომ ყოველი მიმღების ფილტრი მხოლოდ და მხოლოდ ერთ „თავის“ სიხშირეს ატარებს, დანარჩენებს კი გზას უღიბებს, I გენერატორში გამოქმუწებული დენი I მიმღებში მიდის; II გ-

ნერატორიდან დენი II მიმღებში ხვდება; ხოლო III გენერატორის დენი III მიმღებს აღწევს. სწორედ ამ ხერხით მაღალი სიხშირის დენების ერთმანეთისაგან გამოყოფა უდევს საფუძვლად ერთი ხაზით რამდენიმე ერთდროულ სატელეფონო კავშირს.

ახლა საქმე ის არის, რომ ბგერითი სიხშირის დენებით წარმოებული სატელეფონო ლაპარაკი ხაზებში „გადატანილ“ იქნეს მაღალი სიხშირის დენებით, რომლებსაც გენერატორები იძლევა. ამისთვის საჭიროა მოხდეს მათი მუდმილიება.

თუმცაჩვენს მოდულატორს ჩვეულებრივი მიკროფონი წარმოადგენს. როგორც ვიცით, მიკროფონის წინ წარმოქმნილი სიტყვების ზეგავლენით იცვლება მიკროფონში გამავალი მუდმივი დენის სიდიდე (ნახ. 3.). მაგრამ ზომ შეიძლება მიკროფონში მუდმივი დენის მაგივრად მაღალი სიხშირის



ნახ. 3

დენმა გაიაროს? ასეთ შემთხვევაში მემბრანის რხევის ზეგავლენით ცვალებადობას განიცდის მაღალი სიხშირის დენის ამპლიტუდაც, ისე რომ ის აღმოჩნდება ბგერითი სიხშირის „გადამატან“.


იმის მიხედვით, თუ როგორია ბგერითი რხევები, მაღალი სიხშირის რხევების ამპლიტუდა შესა-

ბამისად განიცდის ცვლილებას. თუ ბგერა სუსტია, მაშინ მაღალი სიხშირის რხევების ამპლიტუდა უმნიშვნელოდ იცვლება და, როგორც ამბობენ, მათი მოდულაცია ღრმა არ არის. პირიქით, ძლიერი ბგერების დროს მოდულაცია ღრმა მიიღება.

ბგერების ზეგავლენით განუწყვეტლივ იცვლება მოდულაციის სიღრმე. მე-4 ნახ-ზე ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება ბგერითი რხევების მოდულირება.


გასაღებია, რომ თუ მიღების პუნქტში დაყენებული ფილტრები ერთმანეთისაგან გამოაცალკევენ მაღალი სიხშირის რხევებს, განცალკევებულ ალბომიდება ამ რხევებით „გაღატანილი“ ბგერითი რხევებიც.

გამოცალკევებული მაღალი სიხშირის ღენები უშუალოდ არ იგზავნება ტელეფონებში, რადგან მათ ასეთი ღენების მიღება არ შეუძლიათ. საჭირო ხდება ბგერითი რხევები გამოიყოს მაღალი სიხშირის ღენებისგან ეგრეთ წოდებული დემოდულატორის დახმარებით და მხოლოდ შემდეგ გაიგზავნოს ისინი ტელეფონებში. ისე, რომ ყოველ ტელეფონში მოხვდება ის ბგერითი რხევები, რომლებიც მოსაუბრე აბონენტის მიერ ფონში წარმოიშვა.



ნახ. 4

ამგვარად, ერთ ზაზში ერთდროულად რამდენიმე სატელეფონო ლაბარაკისათვის საჭიროა ბგერითი სიხშირეები ზაზში მაღალი სიხშირის ღენებით იქნეს „გაღატანილი“ მიმღებ პუნქტამდე, აქ მაღალი სიხშირის ღენები ერთმანეთისაგან გამოიყოფა ფილ-



ნახ. 5

ტრების დახმარებით, ხოლო შემდეგ თითოეულ მათგანს „მოცილებდა“ ბგერითი რხევები, რომლებიც უკვე უშუალოდ ტელეფონებში გაიგზავნებოდა.

თვალსაზრისით რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ხდება რამდენიმე ერთდროული სატელეფონო ნაბეჭდო, მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. დავუშვათ, რომ ერთი ზაზით სამი ერთდროული სატელეფონო ლაბარაკი წარმოებს როგორც მე-5 ნახ-დან ჩანს, სადგური ა და სადგური ბ ერთმანეთთან დაკავშირებულია ორი სადენით. სწორედ ამ სადენებში გადაეცემა სამი სატელეფონო ლაბარაკი, თუმცა მათი რიცხვი, შეიძლება, მეტიც იყოს. ასეთ შემთხვევებში ამბობენ, რომ სატელეფონო კავშირი მრავალარხიანია (ცერძოდ, ჩვენი მაგალითში კავშირი სამარხიანია). სიტყვა არხი გულისხმობს საზაზო და სადგურის მოწყობილობის ერთობლიობას, რაც ერთი სატელეფონო კავშირის განხორციელების პირობას ქმნის.

ნახაზიდან ჩანს, რომ ყოველ არხს თავისი მაღალი სიხშირის გენერატორი, გადამცემი მოწყობილობა და ფილტრი აქვს.

პირველი არხი ასე მოუშაობს: ტელეფონის აპარატიდან ბგერითი რხევები მომწყობებიდან კ, გადაეცემი მოწყობილობაში ხდება. ამასთან ამ მოწყობილობას მაღალი სიხშირის ღენს აწვდის გენერატორი გ, გენერატორის მიერ გამოყოფილი და სალაბარაკო ღენების ურთიერთმოქმედების შედეგად გადამცემი მოწყობილობის გამოსასვლელთან მიიღება

მოდულირებული რხევები, ისეთი, როგორიც ეს მე-4 ნახაზზეა ნაჩვენები.

მოდულირებული რხევები გაივლის ფილტრ 1-ში, რომელიც მხოლოდ გენერატორი გ მიერ გამოყოფილ ღენს ატარებს და შემდეგ უშუალოდ ზაზში გადაეცემა.

სადგურ ბ-ში ამ რხევებს გაატარებს მხოლოდ ერთი — ფილტრი 1. მიმღები მოწყობილობიდან კი დაბალი ბგერითი სიხშირის რხევები უშუალოდ ტელეფონში მოხვდება.

მაგრამ სადგურ ა-დან სატელეფონო ლაბარაკი ცალმხრივია როდია. ამვედენის პირველ არხზე სადგურ ბ-ს აბონენტის ლაბარაკი გადაეცემა სადგურ ა-ს აბონენტს, რისთვისაც სადგურ ბ-ში დადგმულია გადამცემი მოწყობილობა და გენერატორი გ, ისევე, როგორიც სადგურ ა-ში დგას.

ანალოგიურად ხორციელდება სატელეფონო კავშირი დანარჩენ არხებშიც. რასაკვირველია, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამ არხების გენერატორები სხვა სიხშირის ღენებს გამოიყოფავენ და მათი ფილტრები ტელეფონებისა და ზაზისკენ მხოლოდ „თავის“ გენერატორის ღენებს ატარებს.

ამჟამად დადგინოდა, რომ სპილენძის ორსადენიან ზაზით შეიძლება 28, ხოლო კონცენტრულ კაბელში 480 და მეტი ერთდროული სატელეფონო ლაბარაკი მოხდეს ისე, რომ აბონენტებმა ერთმანეთს სრულებით არ შეუშალონ ხელი.

მატარებლის მართვა

რადიოთი

ამას წინათ პარიზის ახლოს ცდიდნენ მატარებლის, რომელიც ელექტრომაგნიტური და ოთხი ვაკუუმისგან შედგებოდა.

მატარებელი ნორმალურად იძვროდა ავტომატურად, იღებდა სიჩქარეს და ჩერდებოდა საჭირო ადგილას. მაგრამ ლოკომოტივეზე შემანქანებ არ იყო. ჩვეულებრივი კონსტრუქციის ელექტრომაგნიტური რადიოსიგნალები მართავდა. სპეციალურმა მიმღებმა და რელემმა, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავდა ავტომატიკის მოწყობილობა, შეცვალა ადამიანი.

გამოცდის დროს ულტრაიკლე ტალღები გადმოცემოდა საკონტროლო პოსტიდან, რომელიც ორ სადგურს შორის მდებარეობდა.

მატარებელთა გამოცდა რადიომართვაში კვლავაც გაგრძელდება. მისი მიზანია: ახალი ტიპის აპარატურის გამოშვება, რომელიც ამაღლებს მატარებელთა მოძრაობის უსიზღვრელობას შემანქანის გარეშე და გააძლიერებს რკინიგზის გამტარუნარიანობას.

ფრანგული რკინიგზის კომპანიის წარმომადგენლის აზრით, ზუთი წლის შემდეგ დაიწყებს ნორმალურ მისოვლის რკინიგზებზე მატარებლები, რომლებზეც არ იქნება შემანქანებები.

ყველაზე

პატარა

რადიოგადამცემი

ერთ-ერთი ამერიკული რადიოჟურნალი, დაწერს რა პაუზა რადიოგადამცემს, ირწუნება, რომ ეს არის „ყველაზე პატარა რადიოგადამცემი მსოფლიოში“. ასეთი რადიოგადამცემი დამუშავდა საზღვაო არტელისთვის ლაზორატორიამ და გამოიყენება ისეთი პატარა ჟურნების ფრენის გამოსაკვლევად, რომელთა დამატური სიღრმე 20 მილიმეტრია. ჟურნელს მოთავსებულმა რადიოგადამცემმა საშუალება მისცა გამოეკვლიათ ჟურნის ბრუნვის სიჩქარე თავისი დერბის გარეშე. ეს სიჩქარე ფრენის დროს ცვალბადობის და კონსტრუქტორ-არტიფიკტებისგან აუცილებლად იცოდნენ ამ ცვლილების ზუსტი სურათი დიდი ზომის ჟურნების საუკეთესო ბალისტიკური და აეროდინამიკური თვისებების გამოვლენისათვის. ამ მონიხათვის სხვა ხერხის გამოყენების ცდები უშედეგოდ დამთავრდა.

ნახევრადპატარა ტექნიკის განვითარებამ საშუალება მისცა შექმნილიყო მკროსკოპული გადამცემი კრისტალურ

ტრიოდზე და ამით წარმატებით გადაეცინათ ეს ამოცანა.

გადამცემი მოთავსებული იყო ჟურნის პლასტმასური ცხვრის ნაწილში და ეკავა 25 მმ სიგრძე. მისი კვება ხორციელდებოდა ვერცხლისწულის ბატარით, რომლის ზომა არ აღემატებოდა ჩვეულებრივი სახელის ღილს.

ფრენის დროს ასეთი მოწყობილობის გამოსხივება ყოველთვის მუდმივი რჩებოდა ამალიტუდით. გენერატორის კონტურული ხეია ჟურნითა ერთად ბრუნავს, რაც იწვევს მიწისზედა სადგურის მიმღებანტენაში ამალიტუდის მიხედვით ხვრის მდებარეობის შესაბამისად ცვალბად სივანალს. ასეთი მიმღები პუნქტი ჟურნის ფრენის გზაზე რამდენიმე იყო დადგმული. ძაბვა მისაღებ პუნქტებზე დადგმული მიმღების გამოსახვეულებიდან გადაეცემოდა ოსცილოგრაფებს. ოსცილოგრაფის ეკრანზე მიღებული გამოსახვეულები გადამიღებოდა ფოტოგრაფიულად, რაც იძლევა ფრენის დროს ჟურნის ბრუნვის სიჩქარის ცვლილების სრულ სურათს.

ნახევრადგამტარი

ტრიოდზე

უკანასკნელ ხანებში უტვირთი მრავალი ფირმა მცირე რაოდენობით უშვებს ფრადი ორგინალურ აპარატურას, რომელიც გამოყენებულია კრისტალური ტრიოდები. ასეთი აპარატურის პრაქტიკული გამოყენება საკმაოდ შეუზღუდულია, მაგრამ მისი გამოშვება მისწავლეს სხვაგვარი რკელამას, რათა აჩვენონ ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც აქვთ ნახევრადგამტარიან ხელსაწყოებს.

1955 წლის ბოლოს ფირმამ „მოტოროლ“ გამოშვა რადიოცენტრული ბურთები გოლფის თამაშისათვის. როგორც

ცნობილია, ამ თამაშის დროს ბურთები ფრენენ დიდ მანძილზე და მოთამაშის მოუხერხებელი დარტყმისას ისინი სხივად ეკარებოდა.

ფირმის მიერ გამოშვებულ ბურთის თითოეულ კომპლექტში მოთავსებულია ნამცეცა რადიოგადამცემი ნახევრადგამტარი ტრიოდზე სრულად კვებით.




ბურთის დაკარგვის შემთხვევაში გადამცემის გამოსხივება მიიღება სპეციალური მიმღები-პელენგატორით. მიმღების გადამცემის დროს მაქსიმალური და მინიმალური სივანლით თავისუფლად შეიძლება განისაზღვროს მიმართულება, რომელშიც უნდა ვეძებოთ ბურთი, ხოლო მიხალღებისას—აღმოვაჩინოთ იგი.

ნახაზზე ნაჩვენებია ასეთი ბურთი და კომპლექტის მიმღები-პელენგატორი, რომელიც თავისუფლად თავსდება ჭიბეში.

სხვა ფირმა თავის მაღაზიებში აჩვენებს ჩვეულებრივ სახარატო ჩაქურს, რომლის შვენი მონტრატებულია რადიოგადამცემი ნახევრადგამტარი ტრიოდზე. თითოეულ მსურველს შეუძლია დარწმუნდეს ამ ფირმის მიერ დამზადებული ტრიოდების გამძლეობასა და მდგრადობაზე, დაარტყვას რა ნებისმიერი ძალით ჩაქურს ნაქედზე და ამავე დროს ყურის დაუგდებს გადამცემის მუშაობას იქვე არსებული მიმღების საშუალებით.

ჯივის მაგნიტოფონი



უკანასკნელ დროს ფართო გამოყენება პოვა ბეგრჩამწერმა ხელსაწყოებმა. მათ იყენებენ არა მარტო მუსიკალური პროგრამის ფიქსირებისთვის, არამედ საქმი

დანერტვას ხელს უშლის აპარატურის წონა და დიდი ზომა.

რეპორტაჟისათვის შემუშავებული გადამცემი მაგნიტოფონები მაინც საკმაო მოცულობისაა და მძიმე.

1955 წელს გერმანისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამზადეს ჭიბის ბეგრჩამწერი ხელსაწყოები.

მოცვეცა მკლელ ფორმა ასეთი ზეკომპაქტური მაგნიტოფონისა. ზომებია: 216×98×48, იწონის 1200 გრამამდე; განუწუხებელია ჩაერის ბანერტლიობა აღწევს 1 საათს. მაგნიტოფონში გამოიყენება მაგნიტური ლენტა პლასტიკურ საფუ

მეღვლე სიგანე 0,3 მმ. სიგანეში მასზე განლაგდება ორი ჩანაწერი. ამ მაგნიტოფონისათვის გამოიყენება სპეციალური ბრტყელი კასეტა; რომლის შიგნითაც დახეულია ლენტ. კასეტას ქვეშ ჩვეულებრივი პაპირისის ყუთის ზომა. იგი გამოიყენება თავის ადგილზე და არ სჭირდება ლენტის რაიმე შემდგომ გაყრას ან გაშვებას.

მაგნიტოფონის დამახასიათებელი სიხშირეა 200-დან 5000 ჰერცამდე, რაც საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს ჩაწერილი ლაპარაკი. მუსიკალურ ნაწარმების მხატვრული ჩაწერისათვის ხელ-

საწყო გამოუსადეგარია. ჩაწერისას ერთდროულად იშლება ადრე ჩაწერილი მხალა. ლენტის გადახვევა ხელით წარმოებს. ჩანაწერის მოსასმენად აუცილებელია ცალკე გამაძლიერებელი, რომელზეც ხელსაწყოთა კომპლექტში შედის. მაგნიტოფონში გამოყენებულია მინიატურული სერიის მილაკები, სულ სამი. კვების წყაროს ორი ბატარეა წარმოადგენს. მაგნიტოფონის ძირითად უპირატესობად მიანინათ ჩაწერის წარმოების შესაძლებლობა ნებისმიერ ადგილას—თუნდაც ავტომანქანის ან თვითმფრინავის სვლის დროს.

...თანამედროვე რადიომილაკი მართლად რადიოკანის საფუძველია. მართლაც, ფართოდ გამოიყენება ტელეფონისა და ტელეგრაფისაში, სიგნალიზაციის მოწყობილობაში, ავტომატებაში, ტელემექანიკაში და ა. შ.

...თანამედროვე რადიომიმღებების 6-7



რეკით თუ არა თქვენ, რომ...

...1922 წლის 17 სექტემბერს მოსკოვის რადიოსადგურმა გადაცა პირველი კონცერტი და მას ისმენდა მთელი ევროპა.

...თანამედროვე გადასაცანი რადიოსადგურების შორს მოქმედებას რომ მიადწინო, მათ მიმღებებს ძალზე მგზავნიბარებს აკეთებენ. ასეთ მიმღებზე შეუძლია იმოქმედოს სუსტმა ელექტრომაგნიტურმა ველმა. ამ ველის ენერგია რომ წარმოვიდგინოთ, ადვინშნავთ, რომ 10 მილიონი წელი დასჭირდებოდა ანტენით მიღებული ენერგიით 1 გრამი წყლის მზოლოდ 1°C-ზე გათბობას.

...მარტო 1951 წლისათვის გამოგონებული იყო დაახლოებით 10.000 სხვადასხვა ტიპის რადიომილაკი.

...უღტრამოკტ ტალღები გრცელდება მზოლოდ პირდაპირი ხედვის მიმართულებით.



ბით. ასეთ ტალღებს იყენებენ სატელევიზიო გადაცემებისათვის.

...რადიომილაკში მზოლოდ წამის ერთ მეგილიონედ დროში 20—40 მილიარდი ელექტრონი გადის!

...თანამედროვე რადიოგადამცემს არ

შეუძლია იმუშაოს მილაკიანი გენერატორის გარეშე. ლათინური სიტყვა „გენერირ“ ნიშნავს „შექმნას“, „წარმოშობას“.

...ტექნიკაში რეზონანსი ზნირად მავნე და საშიშია. მაგალითად, ბერლინის მიმდებარეში ქარმა წაქცია 250 მეტრის სიმაღლის რადიოანაშ. როგორც ფიქრად ღვრის სიხშირე დავიშოვავ ანტენის საკუთარი რხევის სიხშირეს, თორემ ამ ანშის სიმტკიცე ისეთი იყო, რომ იგი ყველაზე უფრო ძლიერ ქარიშხალს გაუძლებდა.

...ელექტრომაგნიტური ტალღები გრცელდება არა მარტო ჰაერში, არამედ უჰაერო სივრცეშიც. მათი გავრცელების სიხშირე სინათლის გავრცელების სიჩქარეს უდრის, ე. ი. დაახლოებით 300000 კილომეტრია წამში. მოსკოვიდან გავრცელებული რადიოტალღა ლენინგრადს 1/500 წამში მიაღწევს, მთვარეს—1,28 წამში, ზოლო მზეს—8 წუთსა და 70 წამში.

...რაც უფრო ზევით არის ატანილი სატელევიზიო გადაცემის ანტენა, მით მეტია მისი მოქმედების რადიუსი.

...ლიდი რადიოსადგურების გადამცემ ანტენაში გაგზავნილი ენერგია საკმაოდ დიდია. მაგალითად, ამ ენერგიის გამოიყენებული F-880 რადიომილაკის სიმძლავრე ორჯერ მეტია, ვიდრე „მოსკვირის“ ძრავის სიმძლავრე, ზოლო F-448 რადიომილაკის სიმძლავრე სამჯერ მეტია იმ სიმძლავრეზე, რასაც „იპოდის“ ძრავა იძლევა.

...სიტყვა „რადიოლოკაცია“ ორი სიტყვისაგან წარმოიშვა. ერთია, ჩვენთვის ცნობილი—რადიო. მეორე „ლოკაცია“, რაც ლათინურად აღვსოს ნიშნავს. რადიოლოკაცია არის სხვადასხვა ობიექტების (თვითმფრინავი, გემები და ა. შ.) ადგილმდებარეობის მონახვა.

რთული რადიომილაკი ცვლის რამდენიმე ათეულ „პირველყოფილ“ რადიომილაკს.

...საბჭოთა გამომგონებელმა ბაბატმა და კისილიოვმა დამუშავეს ავტომატობის კონსტრუქცია, რომლის ძრავას სრულეზითაც არ სჭირდება ბენზინი. ავტომობილის ძრავა ენერგებს ელექტრომაგნიტური ველის სიხშირის, რასაც სპეციალური რადიოგადამცემი ქმნის.

...ჩერ იონიფიკაციიდან, ზოლო შემდეგ დედამიწიდან არეულილი მოყვ ტალღებს

იონიზური




შეუძლია „გაირბინოს“ დედამიწის ნებისმიერი მანძილი.

...ყოველი სატელევიზიო გადაცემის წინ ტელევიზორის ეკრანზე მოჩანს ეკრანზე წოდებული საცდელი ცხრილი, რომლის დახმარებით რადიომაყურებელს უნდა მოახდინონ ტელევიზორის რეგულირება.

...როცა 1943 წელს მოსკოვსა და ნიუ-იორკს შორის დამყარდა რადიოსატელეგრაფიო კავშირი და ჩვენმა აპარატურამ წუთში 1.000 სიტყვის გადაცემა დაიწყო, ამერიკელებმა მოითხოვეს გადაცემის სიხშირის შემცირება, რადგან მათი მოწყობილობა ვერ მუშაობდა ასეთ სიჩქარეზე.

პერის სკანის ბელაპირთან

ინჟინერი ზ. ლოიაშვილი




ახე. ვარუდების მიხედვით, აგებული იქნება დედამიწის ავტომატური ხელოვნური თანამგზავრი. თავისი ზედა მხარით იგი მუდამ მზისკენ იქნება მიმართული და მზის სხივები (2), გაივლიან რა გამჭვირვალე ლინზას (3), კონცენტრირებული იქნება მზის ბატარეაზე (9), რომელიც ახდენს ელექტრონების (10) დამუხტვას. რადიოგადამცემის (11) ანტენის როლს ასრულებს მანქანა (1). ხელოვნურ თანამგზავრზე დადგმული მონუმენტური გამოსახულების (5), მზის ელტრაიისფერი გამოსხივების (1), თავისუფალი ელექტრონების (6) და რენტგენის სხივების (7) შესასწავლად. მაგნიტომეტრი (8), მოვლედები პოლარული ცილის და კოსმოსური სხივების შესასწავლად (12). ყველა ამ მოწყობილობის ჩვენება იწერება დოლის მაგნიტურ ლენტზე (14). რომელსაც აბრუნებს მოტორი რედუქტორით (13). ჩაწერას აწარმოებს ჩამწერი დაკავი (15).

ატმოსფეროს დიდი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის. უმისოდ დედამიწა ისეთივე უვანია, მტკრით დაფარული, მკვდარი უდაბნო იქნებოდა, როგორც მთავრე, დედამიწის ირგვლივ ჰაერის გარის არსებობის გამო არ შერბა ზღვები, ტბები და მდინარენი, შენარჩუნებულია მზის სხივების სიბორო, არ არის მკვეთრი გადასვლა ღმის სიციხიდან ღმის სიციხეზე, თვალისმომკრელი სიწათლიდან ჩრდილზე. უმაკრად დედამიწაზე სამარისებური სიწუმე იქნებოდა — უმაკრო სივრცეში ბერები ვერ გავრცელდებოდა. ატმოსფერო დედამიწის მზიდან გზანდელი დამკუშელი ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს, იგი არბილვებს ციურ ახალმოსულთა — მეტეორიტების დარტყმებს. ატმოსფეროში ხდება ყველა პროცესი, რომლებიც გაერთიანებულია ერთი სახელწოდებით — „მინდო“; ჰაერის მასების მოძრაობა, ატმოსფეროში წარმოქმნის წარმოქმნა და მოსვლა და სხვ.

ადამიანი ატმოსფეროს კვდაფენებში ცხოვრობს, მაგრამ ის, რაც მის ზედაფენებში ხდება, ადამიანისათვის მნიშვნელობას მოკლებული როდია. ატმოსფერო ერთიანი მექანიზმა, და მისი ფენები განუყოფელად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ატმოსფეროს ზედაფენების მდგომარეობა განაპირობებს ამინდის კვდა ფენებში — წვიმას, თოვლს, სიტყვას, თრთვილს თუ თბილი ღამეს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნათესებისათვის. ატმოსფეროს მაღალი ფენების მდგომარეობაზე დამოკიდებულია შორეული რადიოკავშირი, რადგან იქ იმყოფება ელექტრომაგნიტური ტალღების ამრეკლავი ელექტრონული დამუხტული ნაწილაკების არეები. არა მხოლოდ ამიკომ სულ უფრო და უფრო გვანტერესებს ჩვენ ატმოსფეროს დრულებსიჭითური შორეობები.

ეს ნებრესი იზრდება კიდევ იმითაც, რომ ატმოსფეროს სულ უფრო და უფრო მაღალ არეებს „აწყოებს“ ადამიანი. უკვე იონოსფეროში გადის გზები შორსმფრანვი რაკეტებისა და მაღელ რაკეტულ თვითმფრინავების გზები გაივლის.



რაკეტის თავი აპარატურით ატმოსფეროს ზედაფენების გამოსაცვლევად. აქ არის: მექანიზმი აპარატის გადმოვადების რაკეტის შესვლის დროს ატმოსფეროს მკვირვ ფენებში (1), სექტროგრაფები (2), სექტროგრაფების კვების წყარო (3), მეტათა ავუმულატორები (4), დროის რეულ (5), განმანწილებელი კოლოფი (6), გადმოვადების სინგლის მიმღები (7), იმპულსური გადამცემი (8).


შემთხვევითი როდია სიმაღლისათვის ეს ბარძოლა, რომელსაც ახლა აგადა, აწარმოებს. ჰაერის სიკვერთე სწრაფად კლდულობს დედამიწის ზედაპირიდან და შორების შესაბამისად: ძლიერ გაიწვიათებული მაერი გაცილებით ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს ფრენას. ამიტომ ატმოსფეროს ზედაფენებში რაკეტულ თვითმფრინავებს შეუძლია განავითაროს ფრიალ მაღალი სიჩქარენი — რამდენიმე თასი კილომეტრი საათში. გარდა ამისა დიდი სიმაღლეზე ფრენის დროს ჰაერზე ხახუნი არ გავიქვებს ძლიერ ხერებას. ასე რომ არ იყოს, მაღალი სიჩქარეებით მოძრაობა შეუძლებელი იქნებოდა.

ასი, როგორც და მეტე კილომეტრის სიმაღლეზე გაბატონულ ჰაერსაბოთა ცოდნა აუცილებელია შორსმფრინავი მართული რაკეტებისა და დიდი სიშორის ფრენის ზეგარეული თვითმფრინავების კონსტრუირებისათვის.

ატმოსფეროს თვისებთა გამოკვლევას დედამიწის ზედაპირიდან დაშორებით აწარმოებენ ორი გზით: პირდაპირით, აიტანენ რა იქ ხელსაწყოებს თვითმფრინავებითა და ჰაერბურთებით და არაპირდაპირით, აკვადებინან რა დედამიწიდან სხვადასხვა მოვლენებს — ღამით ცის ნათებას, პოლარულ ციკლს, ღრუბლებს და ა. შ. რაკეტული თვითმფრინავის ასვლის მაქსიმალური სიმაღლე ამჟამად დაახლოებით სამ ათეულ კილომეტრს შეადგენს; ჰაერბურთის — სტრატობატისა ადამიანები — 22 კილომეტრზე ცოტა მეტს (1935 წლის რეკორდი). ბურთები-ზონდები ხელსაწყოებით 40-42 კილომეტრის სიმაღლეზე აჰქონდათ. მაგრამ ატმოსფერო გაცილებით უფრო მაღლა განვრცობილი: ჰაერის კვალი დაახლოებით 1000 კილომეტრის სიმაღლეზე გვხვდება.

უკანასკნელ წლებში გამიჩნდა ახალი საშუალება მეტეოროლოგიური ხელსაწყოების ასატანად დაახლოებით რამდენიმე ათეულ და ასეულ კილომეტრზეც — მაღლივი რაკეტები.

რაკეტებზე დიდგუმბა ხელსაწყოებმა ბერეი ახალი რამ გავავრცეინა და ზოგერთი მგელი ვარაუდი და დაკვრევა დადასტურა.



რაკეტა-ატმოსფეროს მეხვერავი

ამჟამად ცნობილი მაღლივი საკვლევი რაკეტების საკმაოდ ბევრი ნიმუში. აიროგორ არის მოწყობილი ერთ-ერთი მათგანი. მისი კორპუსის სათავე წანაკეთი ფორმით ჭურვის თავს ემსგავსება, მზადდება ალუმინის შენადნობისაგან და დაახლოებით 70 კგ სასარგებლო ტვირთს—საკვლევ აპარატურას იტევს. კორპუსის დანარჩენი ნაწილი ცილინდრულია, ბოლოსკენ რადიენიმედ შევიწროებული. მასში მოთავსებულია სასაბოთო ავჯები და ძრავა, გარედან დამაგრებულია სამი სტაბილიზატორი. სასტარტო დენთური რაკეტა შეერთებულია ძირითადთან ღეროებით და მიფარებულია გარსმდენით ძრავას გამოყოფილი ჭავლისაგან დასაცავად. სტარტ წარმოებს გამწვები კოშკის დახრებით, რომლის სიმაღლე დაახლოებით 40 მეტრს უდრის. რაკეტის სიგრძეა 5,78 მ, დიამეტრი—0,88 მ, მისი მაქსიმალური სიჩქარე—1250 მეტრი წამ. შორი, მიწველი სიმაღლე—128 კმ. სხვა, უფრო დიდი რაკეტები ათავივით ტიპისაა 25 კმ სიმაღლეს აღწევდა.

უფრო მოგვიანო კონსტრუქციის ამერიკული რაკეტა იგივეა 28 მ ავთარებს მაქსიმალურ სიჩქარეს დაახლოებით 2 ათას მეტრს წამში და 200 კმ სიმაღლეს აღწევს. მას აქვს 342 კგ სასარგებლო ტვირთი და იწონის სტარტზე 5,5 ტ, რომლიდანაც 3,5 ტ. საწვავზე მოდის.


ხელსაწყოებისათვის გამოყოფილი სათავო ნაწილი კორპუსის რადიენიმედ სკეციისაგან შედგება. საშუალო ნაწილი სასაბოთო ავჯებს წარმოადგენს, კუდის ნაწილში მამოძრავებელი დანადგარია მოთავსებული, გარედან—სტაბილიზატორები. ძირითადი მასალა, რომლიდანაც დამზადებულია რაკეტა,—ეს არის ალუმინის შენადნობი. კორპუსის ფორმა ცილინდრულია, წამახვილებული სათავო ნაწილით. გაშვება წარმოებს სპეციალური სასტარტო მაგიდან.

მაღლივი რაკეტების სტარტი შეიძლება წარმოებდეს არა მხოლოდ გაშვები მაგიდან, არამედ ლითონის კოშკურიდანაც.

დღემიწის ხელმწიფი თანამგზავრათი კავშირის დასაწყარებლად რაკეტის ერთ-ერთი პროექტი. რაკეტის პირველ საფეხურს (1) აქვს ორმოცდათერთმეტი თხევადსაწვავიანი რეაქტიული ძრავა (25). ეს ძრავები იკვებება რეგულერებიდან მიღრანინით (9) და აზოტის მევითა (8). საწვებს აწვდის ტურბოტუმბოები (11), რომლებიც მუშაობენ ბალონი მითაცებული წყალბადის შეტანაზე (19). რაკეტის მეორე საფეხურს (2) აქვს ოცდაათი. მეტი რეაქტიული ძრავა (17), მესამეს (3) კი—ხუთი ძრავა (12). სასარგებლო ტვირთი მოთავსებულია რაკეტის თავში (4), მის მომდევნო კ ეტაში რაზმისათვის (6) და საბარგო კამერაში (7). პილოტი თავსდება კაბინაში (5). პერში მართვისათვის რაკეტა აღჭურვილია საპიტი (20) პირი-ზონტალური საპევიბით (22). მესამე საფეხურს აქვს ფრისი წინა (10) და გერტიკული ფრთიანებით (13), მიმართულების სპე (14), ელერონები (15) და სარკველები (16) მართვისათვის დედაწამაზე დაშვების დროს. იმ საფეხურების წამოსაშვებად, რომლებშიც მუშაობა შეასრულეს, გათვალისწინებულია პარაშუტი

სტარტის წინ დათვადიერებისა და ყველა აუცილებელი გაშვებისწინა ოპერაციისათვის ზოგჯერ ააგებენ ზოლმე მრავალსართულიან ფერმულ კონსტრუქციებს მოძრავ მანქანებით, რომელთა შიგნით რაკეტა დაიდგება. უკანასკნელ დროს, იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო ხარკები საწვავზე ატმოსფეროს მკერვი ნაწილის დასაძლევად, წარმოებდა ცდებში მომცრო რაკეტების წინასწარი ატანისა აეროსტატების საშუალებით.

გაფრენის დროს მართვის ორგანოები ძნელდნობად მასლისაგან დამზადებული საპაერო და საგზო საპევიბით. ერთ რაკეტაზე გაფრენის მომენტში უკეთესი მართვისათვის, როცა საპევიბს მცო-





(21 და 18). წვის პროდუქტები რაკეტის აფრენის დროს ხდება ხერტულში (23) და გამოდის არხის საშუალებით (24).

რე სიჩქარეზე ჭერ კიდევ არ შეუძლიათ ეფექტური მუშაობა, გამოყენებულია დამატებითი მასტაბილიზებელი მოწყობილობა, რომელიც შედგება რაკეტის ბოლო ნაწილში დამაგრებული თამახებისაგან, რომლებიც შემდეგ მოსცილებება. ზოგჯერ კეთდება სპეციალური სამარკები რაკეტის რხევას საწინააღმდეგო ბროლიისათვის; ამ რხევას განიცდის რაკეტა გაიშვითაბული პერის ფენეში.

მრავალსაფეხუროვანი, თხევად საწვავზე მომუშავე რაკეტები აღის გაცილებით უფრო დიდ სიმაღლეებზე, ვიდრე ერთსაფეხუროვანი რაკეტები. დღევანდელმა ორსაფეხუროვანმა რაკეტებმა უკვე 480 კმ სიმაღლეს მიაღწია. რაკეტული

მაღლივი რაკეტის დაღმა, მომზადება და გაშვება. მ ა რ ტ ნ ი დ ა ნ მ ა რ ტ ნ ი ე რაკეტის ნაწილების მოზიდვა სტარტის აფრულზე; დაღმა აშუთა საშუალებით; რაკეტის მონტაჟი; საწვავით გავსება, რაკეტის აფრენა. მფრინავი რაკეტის აღი თვალურის დენება ტელესკოპით.





ეს მაიმუნე—პირველი კოსმოსური მოგზაური—აყენილ იქნა რაკეტის კაბინაში დაახლოებით 50 კმ სიმაღლეზე, ციკსალ ორგანიზმზე კოსმოსურა ფრენის გავლენის პირობათა შესწავლის მიზნით. იგი ჩაემული იყო ისე, როგორც ჩვენი უპარადგმული ჩაემული იქნებოდა კოსმოსური მეზარებთი.

იძლება გადაცემულ იქნეს ფიზიკური ხელსაწყოების გაზომვათა შედეგები, მაგალითად, კოსმოსური ნაწილაკების მოვლელისა, ცნობები რაკეტულ ძრავას მუშაობის შესახებ და ა. შ. მოკლედ აღწერილი გადამცემი აღუქრვილია მოწყობილობებით, რომლებიც საშუალებას იძლევა გადმოცემული რადიოსიგნალი სიხშირის მიხედვით გაკეთთ ხელსაწყოებიდან მიღებული რეაქციების შესახებ. დედამიწაზე არსებული სადგური ამ სხვადასხვა სიხშირის რხევებს იღებს სპეციალური ელექტრონული ხელსაწყოთა საშუალებით, რომელიც სწრაფად მიმდინარე რხევათა ჩაწერას აწარმოებს. ასეთი ჩაწერა ფრენის მთელ მანძილზე წარმოებს. რადგანაც რაკეტის სიჩქარე მეტად დიდია, გადაცემა უნდა იყოს მძივრ ხშირ—რამდენიმე ასეულჯერ წამში.

ვინაიდან ზოგიერთი ხელსაწყო გაიშვითათუდ პაერში ვერ მუშაობს, რაკეტის სათავო ნაწილაკები პერმეტრზედგა და მასში დაცულია ატმოსფერული წნევა. რაკეტის სათავო ნაწილში ათავსებენ საცდელ ცხოველთა კამერას, რომელსაც სპეციალური შეწავლა მათი უფიცუცევისა დად სიმაღლეებისა და ფრენის ურთიერ პირობებში—აქტარებით მოძრაობის ან თავისუფალ ვარდნის დროს.

ხელსაწყოთა, მათი ჩანაწერების, ფოტოგრაფიის დაცვა-შენარჩუნება დიდ სიმაღლეებიდან მეტად გაიშვითათუდ პაერში დაშვებისა და შემდეგ ატმოსფეროს მეტყვე ფენებში შემოსვლის დროს—როტულ ამოცანას წარმოადგენს. სწრაფ მოძრაობის დროს ზომ რაკეტის შემოწმებში შეიძლება გავარჯარდეს მეტად მაღალ ტემპერატურამდე. მანხველი მოგვითარობდნენ, რომ ლონდონში ჩამოვრების ნილი რაკეტები „ფაუ-2“ მკრთალი წითელი სინათლი ანათებდა.

ჩვეულებრივად რაკეტის სათავო ნაწილი, რომელშიც ხელსაწყოებია მოთავსებული, რაკეტის დაშვების დროს კორპუსს სცილდება და ეშვება პარაშუტით, რომელიც ზხირად ორი პარაშუტისაგან შედგება: ისინი ერთიმეორის შემდეგ ისინება. ზოგჯერ ხდებოდა ჩანაწერებისა და ფოტოგრაფიის მოქავენულ ამერაში ჩამოვრება. ხელსაწყოები, რომელნიც მოთავსებულია რაკეტის გარედან ფოთლების გარსებში, სცილდებოდა სამაგრ ტანკების აფეთქების დროს და პარაშუტით ეშვებოდა.

ზოგიერთ კონსტრუქციამ გაიშვითათუდ პაერში რაკეტის თავის ფრენის შეცვლისა ფრენის დროს, მისი კარგი გარემოებისარების დარღვევის მიზნით. ეს ხდება რადიოსიგნალით დედამიწიდან და აწვევს რაკეტის ფრენისაში პაერის წინააღმდეგობის მკვეთრ გადღეობას. ამის გამო დაშვება ნელდება და მშვიდობიანად მთავრდება. რაკეტაში „ვერონიკა“ (საფრანგეთი) არის სპეციალური სამხრებო დისკოები, რომლებიც ანელდენ რაკეტის მოცილებულ სათავო ნაწილის ხელსაწყოებით ძირს დაშვებას.

როგორ მუშაობს იონოსფერული ხელსაწყოები

იონოსფეროს მეტად გაიშვითათუდ პაერში ტემპერატურის უშუალო გაზომვა პრაქტიკულად შეუძლებელია. პაერის ტემპერატურა იქ, მოლეკულების მოძრაობის სიჩქარის მიხედვით განსაზღვრული, შეიძლება ასეულ გარდეს შეადგენდეს. მაგრამ ნაწილაკების რაოდენობის სიმცირის გამო, თბოვადცემა უზინშენელი იქნება. ამიტომ თერმომეტრი ნამდვილ ტემპერატურას არ აჩვენებს.

ამიტომ სპეციალ ხდება ტემპერატურის გაზომვა არაპირდაპირი გზით. ბეგრის სიჩქარე პაერში დამოკიდებულია ტემპერატურაზე. ტემპერატურის გაზომვის ნავიჯარ ზომად ბეგრის სიჩქარეს აძიოს. ფერის სხვადასხვა ტემპერატურულ ფენებში რაკეტის ფრენის დროს. სიჩქარის მიხედვით ეს გამოიგარჩიებენ პაერის ამ ფენების ტემპერატურასაც.

პაერის წნევა იზომება მანომეტრებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაიშვითათუდ რეგისტრირების ვერცხლისწილის სვეტის ათასეულ და მილიონ წილებამდე. ამ მანომეტრებს ისევე არ შეუძლიათ უშუალო გაზომვათა ვანორიცელება, როგორც ჩვეულებრივ ამერიკულდება და ვერცხლისწილიან მანომეტრებს. გაიშვითათუდ ხარისხზე მჭიდროდ დენის სიდიდის მიხედვით, რომელიც აღმოცენდება ხელსაწყოში იონოსფეროდან აქ შემოსული გაზის იონიზაციის დროს.

პაერის სინების ასაღებად ათავსებენ ბალონებს, რომლებიდანაც პაერი ამოტუმბულია. თხელი მალაკები აერთებენ ბალონებს რაკეტის კორპუსზე მოთავსებულ პარამეტრებთან. წინაწარ განავარშებულ მომენტში პაერს ავტომატურად ქილვა ბალონში შეღწევის საშუალება, ხოლო შემდეგ ასევე ავტომატურად ხდება ბალონის დარჩევა. დედამიწაზე მიღებისა პაერის სინებს ფრთხილად გადაცემავენ მინის ქუჩულებში და გაიშვითათუდ.

შის სპეცტრის ფოტოგრაფება წარმოებს სპეციალური ხელსაწყოთა — სპექ-

ტექნიკის პროგრესი ამ მხრივ შედგომ მიღწევებს გვარდებს.

მაღლივი რაკეტების სახელსაწყო მოწყობილობა შეიცავს აპარატურას, რომელიც ზომავს ტემპერატურას და წნევას, მისი მაგნიტური ველის დაძაბულობას, იონოსფეროში დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაციას, შვისა და კოსმოსური გამოსხივებათა ინტენსივობას, აგრეთვე ხელსაწყოებს სპექტრებისა და პაერის შედარების გადასაღებად დიდი სიმაღლეებიდან. პაერის სინების ასაღებად, როგორც წესი, ასეთ რაკეტებზე იდგება ტელემეტრული გადაცემებიც ხელსაწყოების ჩვენებათა რადიოთა გადასაცემად.

მაღლივი რაკეტებისათვის განუყოფელი ხელსაწყოებისა და რადიომოწყობილობების მცირე გამარტები და წინა აქვს. ამის მიღწევა მოხერხდა, კერძოდ, იბის შედეგად, რომ გამოყენებულია კრიტალური ნახევარდამტები გამამდიერებლობი ელექტრონული მალაკების, ნაბედი ელექტრონული სქემებისა და რადიოტექნიკის სხვა მიღწევათა მაგივრად. ერთერთ რაკეტაზე დადგმული რთული რადიოტელემეტრული მოწყობილობა ხელსაწყოების ჩვენებათა ერთდროულად კავშირის 23 არხით გადასაცემად, სულ 68 კვ იწონის და პატარა ჩემოდნის მოცულობისაა. შემდგომი სრულყოფა საშუალებას მოგვცემს მარდვ უფრო შევამცირით ამ ავტომატურ მოწყობილობათა წონა.

რადიოტელემეტრული სინების უზრუნველყოფს დედამიწაზე რამდენიმე მაჩვენებლის ერთდროულად გადაცემას: მაგალითად, რაკეტა „აერობი“ (აშშ)—6—14, ავალდამიწყობილ „ფაუ-2“—დან—23. შე-

ტორგარფით, ამასთან მზეზე მიმისწება, ობიექტების გახსნა და დახურვა ავტომატურად ხდება.

მეტეოროიტებისა და კოსმოსური მტერის დარტყმათა რეგისტრაციასა და რაკეტის შემოწაქრში მიკროფონები იდგმებიო.

კოსმოსური სხივების შესასწავლად რაკეტებზე მთვლელები იყო. ამგვარი გამოკვლევები ხდებოდა რადიოზონდების საშუალებით, რომელთა ასვლის სიმაღლე საშუალოდ უდრის დაახლოებით 30 კმ. რაკეტებით მთვლელებით აღიოდა 160 კილომეტრამდე. გარდა ამისა, ოსმებოდა მზისკენ მოძიწარე დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაცია და დედამიწის მაგნიტური ველის დაძაბულობა.

აკვირდებოდნენ რა მტერინაი რაკეტის ქიმიად გამოშვებულ კვაშლის ბოლქვებს, სწავლობდნენ ქარის მიმართულებასა და სიჩქარეებს სტრატოსფეროში. კვაშლარ მოძქწეული ხელსაწყო ირთვებოდა საათის მექანიზმით, რაცა რაკეტა 30-40 კმ სიმაღლეზე აფირდებოდა. წარმოიქმნებოდა გარკვევით დასახაზი რტუხელი, რომელსაც გაღაღებდნენ დედამიწიდან. მეტეოროლუ კვალი წინათუ მთუთიბედა იმაზე, რომ სტრატოსფეროში ძლიერა ქარებია. რაკეტის საშუალებით ეს გარემოება დადასტურდა.

ფოტოგრაფებს, რომლებსაცაუ დედამიწის ზედაპირისა და ღრუბლების გადაღება წარმოებს, დაგვი რაკეტის სათავო სანჯლიის ნაწილუ.

რა გვიანგო ხელსაწყობება

